

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

83-ე

სამეცნიერო სესია

ემღვნება ანა კალანდაძის დაბადების
100 წლისთავს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2024 წლის 24-25 დეკემბერი

თბილისი
2024

სამეცნიერო სესია გაიმართება თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტში შერეული ფორმატით
(იხ.ბმული: <https://us02web.zoom.us/j/6400564681?pwd=bjY1bE8xMjVzdE00c0ZLTzNpV05sUT09>)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ნანა მაჭავარიანი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

24 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ნანა მაჭავარიანი

დიანა ანფიმიადი – მიგრაციის ენობრივი კონცეპტები – საწყისი და სასრული სივრცის დიქტომია

ნოდარ არდოტელი – ხუნძთა მიგრაცია ჭარ-ბელაქანში და „ნუხპატის“ წარმომავლობისათვის

თეა ბურჭულაძე – რა ნაცვალსახელის სინტაგმატიკის ერთი შემთხვევისათვის

გიორგი გოგოლაშვილი – ანა კალანდაძის პუნქტუაციური „ინოვაციები“...

ქეთევან დათუკიშვილი, თამარ ვაშაკიძე – ერთი ტიპის -ავ თემისნიშნთან გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებისათვის

თამარ ვაშაკიძე – ანა კალანდაძის უსათაურო ლექსების ერთი სტილური მახასიათებელი

ლევან კელაშურაძე – დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის – IX

მაკა ლაზარტყავა – ანა კალანდაძე – „ცაო, მოილე წყალობა ჩემდა...“

რომან ლოლუა – მამტოცი და მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა

სალომე ომიადე – „ქართველურ ტომთა უძველესი ისტორია სიტყვებში“ (კ. ლერნერის წიგნის შესახებ)

თეა ტეტელიაშვილი – ბლანკის შედგენასთან დაკავშირებული ტიპური ენობრივი სირთულეებისთვის

მედეა ლლონტი, დეკანოზი გიორგი ხანთაძე – დედათ-დიკონის მსახურებასთან დაკავშირებული ლექსიკონისათვის ძველ ქართულში

25 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ვაჟა შენგელია

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ და შ ვ ი ლ ი – ის არის კონსტრუქციის სემანტიკის გააზრებისათვის

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა – კონცხი

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა – სიცილთან დაკავშირებული ლექსიკისათვის მეგრულში

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ევროპა და სამოქალაქო ლირიკა ანა კალანდაძის პოეტურ თემატიკაში

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – *სალამურის* საერთოკავკასიური ლექსიკური პარალელებისათვის

ს ო ფ ი ვ ო ჭ ა ა ვ ა – აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოგზაურობა აჭარაში მცხოვრებ ლაზებთან (1927-1929 წლების საარქივო მასალების მიხედვით)

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ანა კალანდაძის „ბედღურები“

პროექტი „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“

პროექტი (FR-21-2100) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

რ ე ვ ა ზ ა ბ ა შ ი ა – ასაკობრივ ურთიერთობათა ამსახველ კოლოკაციებში შემავალი ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი – ქალის დანიშვნასთან დაკავშირებული ზოგიერთი შესიტყვება ხუნძურ ენაში

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი – სვანური კოლოკაცია – ლიქუნ-
გვეში (სულის საქმე? / სულის მსახურება?) ევდოკია კოჟევნიკოვას
ტექსტების მიხედვით

რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე – გენდერულ და ასაკობრივ ურ-
თიერთობებთან დაკავშირებულ ჩვეულებათა ამსახველი ზოგი კო-
ლოკაცია ნახურ ენებსა და ქართული ენის მთის კილოებში

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა – მიცვალეზულის დაკრძალვასთან და-
კავშირებული აფხაზური კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ანა-
ლიზისათვის

დიანა ანფიმიადი

მიგრაციის ენობრივი კონცეპტები – საწყისი და სასრული სივრცის დიქტომია

მიგრაცია, როგორც ინდივიდისა თუ საზოგადოების ცვლილების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, თანამედროვე მულტიდისციპლინური ჰუმანიტარული კვლევების ინტერესის უმთავრესი ობიექტია. მისი, როგორც სოციალური ფენომენის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური რაკურსის წარმმართველის, ფსიქოსოციალური გავლენის ობიექტის, ენობრივი ცვლილებების მიზეზის კვლევა სწორედ ინტერდისციპლინურ კონტექსტში ხდება. ხოლო ამ ინტერდისციპლინური ხედვის უმთავრესი წერტილი სწორედ ენაა, როგორც ყველაზე მატერიალური, ხელშესახები მასალა დაკვირვებისა და დასკვნების გამოტანისათვის.

ადამიანი თუ საზოგადოება არის მისი ენა, ამ თეზის უამრავი ვერსია შეიძლება შეგვხვდეს ფილოსოფიურ, ლინგვისტურ, სოციალურ თუ სხვა დარგის სამეცნიერო სივრცეში. მიგრაციის პროცესში ადამიანს ახალ სივრცეში მიაქვს თავისი ყოფა, ენა, კონტექსტი თუ გამოცდილება და ახალ გამოცდილებაც აქცევს მას.

ეს გამოცდილება, უპირველეს ყოვლისა, ახალ ენობრივ მოცემულობად ითარგმნება, სწორედ ენა ინახავს და გამოხატავს ცვლილებებსა და სიახლეებს, სირთულეებსა და აღქმევს, თვითგამიჯვნისა და ახალ კულტურულ თუ ენობრივ გარემოსთან შერწყმას.

ენა, როგორც ყოფიერების სახლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მიგრაციის პროცესში, როდესაც ხშირად, ის მართლაც ერთადერთი სახლი თუ თავშესაფარია მიგრანტთათვის. ეს ლოკოკინისეული მოდელი, როგორც ახალ სივრცეში ძველი სივრცის წაღება-კოპირება, ყოფიერების სახლთან ერთად გადაადგილება, ცვლილებებისადმი მედეგობა, ინტეგრაციისათვის მზაობა და ამავე დროს, თვითშენარჩუნება სწორედ ენობრივი კონცეპტების სახით გამოიხატება. ენა, როგორც ბედი და როგორც მისამართი – ასეთ კონცეპტუალურ გააზრებას იძენს ენა მიგრაციის პროცესში.

მოხსენებისთვის გამოვყავით მიგრანტთა მეტყველების რამდენიმე ძირითადი აზრობრივი დიქტომია, რომელიც ენის მიგრაციის თუ მიგრანტთა მეტყველების ერთგვარ ხერხემალს წარმოად-

გენს, ესაა, ძველი და ახალი საცხოვრებელი სივრცის ასახვა-მონიშვნა, პიროვნების ასახვა წინარე საზოგადოებისა თუ დამხვედრი საზოგადოების წინაშე, და ცხოვრების, როგორც დროითი მეტაფორის გააზრება და ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირება-დიქტომია.

საკვლევ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა დროს ჩაწერილი მიგრაციული ტექსტები, რომლებიც გამოქვეყნებულია დიალექტურ კორპუსში, ასევე, სხვადასხვა ბეჭდურ, ინტერნეტ, ვიდეო თუ აუდიო გამოცემაში¹.

ნოდარ არდოტელი

ხუნძთა მიგრაცია ჭარ-ზელაქანში და „ნუხპატის“ წარმომავლობისათვის

1. ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ VIII ს-ის კახეთში ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცება შეუქცევად ხასიათს იღებს და საფუძველი ეყრება კახეთის სამეფოს („კახთა და რანთა სამეფო“) სახელმწიფოებრიობას. ამ სარბიელზე განსაკუთრებით აქტიურობს კახეთის მთავრის – არჩილის ხელისუფლება, რომლის გავლენის სფეროშიც, კახეთის გარდა, ექცევა კუხეთი, ჰერეთი, წუქეთი და შაქი. ამ პერიოდიდან მოყოლებული კავშირ-ურთიერთობანი რეალური ჩანს, ზოგადად, დადესტანთან, კერძოდ კი, ხუნძეთთან და ხუნძურ მოსახლეობასთან. კერძოდ, VIII ს-ის შუახანებში, აღმოსავლეთ კახეთში - ისტორიულ ჰერეთში (საინგილოს მთიანეთში) ანონიმი ჟამთააღმწერელი ციხე-ქალაქ **ნუხპატოს** (resp. **ნუხპატის**, **ნოხპატის**, **ნოპატას**) აშენებას მეფე არჩილს მიაწერს. მკვლევართა მეტი ნაწილი **ნუხპატის ნუხთან** (resp. შაქთან) აიგივებს და მის ადგილმდებარეობას ჰერეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ვარაუდობს (მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი...).

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით: პროექტი / ენა და კულტურული მემკვიდრეობის დინამიკა XX საუკუნის საქართველოს შიდა მიგრაციების კონტექსტში [FR-21-336].

2. მატეანეში მოხსენიებული ტოპონიმის – **ნუხპატისა** და **ნუხპატელთა** ლოკალიზაცია მ. ბროსესა და ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ არ უკვლევიათ, თუმცა ისინი საანალიზო ტოპონიმის ადგილმდებარეობის ზოგადი აღნიშვნით შემოიფარგლნენ. ამ საკითხს საგანგებოდ ეხება თ. პაპუაშვილი, რომლის მიხედვითაც **ნუხპატისა** და **ნუხის** იდენტურობის კონცეფცია, ჯუანშერის ქრონიკის საფუძველზე, სამართლიანად არის უგულებელყოფილი და წამოყენებულია უფრო ობიექტური მოსაზრება ამ გეოგრაფიულ სახელთა სხვადასხვაობის დასასაბუთებლად. ავტორის აზრით, ციხე-ქალაქი **ნუხპატი** განთავსებული უნდა ყოფილიყო ბელაქნისწყლის აუზში, რასაც ვახუშტის ტოპოგრაფიული ცნობაც ადასტურებს: „ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორის კავკასს. აქ მთის კალთას **არს ციხე მაკაბელი** და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ **ნუხპატი**...“¹.

3. ყურადღებას იქცევს ტოპონიმი **ნუხპატი/ნოხპატი**, სადაც მეფე არჩილის მიერ, როგორც წერილობითი წყაროები გვამცნობენ, გაშენებულ იქნა ქალაქი ციხე-სიმაგრითურთ. თავად ტოპონიმი **ნოხპატი/ნუხპატი** ჩანს არა ციხე-ქალაქის სახელწოდება, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, არამედ იმ ადგილის სახელი, სადაც ეს ქალაქი იყო განთავსებული (შდრ. აწყური > აწყურის ციხე). ამას გვიდასტურებს მატეანეში დაცული ორივე რედაქცია: (ა) „და [არჩილმა] ალაშენა ციხე-ქალაქი **ნუხპატს** (= ნუხპატში – ნ. ა.), ორთა წყალთა შუა“; (ბ) „[არჩილმა] ალაშენა ციხე-ქალაქი **ნუხპატისი** (= ნუხპატისა – ნ. ა.), ორთა წყალთა შუა“. ორივე შემთხვევაში გარკვევით იკითხება, რომ ციხე-ქალაქი აშენდა ნუხპატის ტერიტორიაზე, რომელიც მანამდე ნუხპატელებით („...იყვნეს კაცნი წარმართნი“) ყოფილა დასახლებული.

4. რაც შეეხება ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიას, ტ. გუდავას XIV ს-ის ქართულ-ხუნძურ წარწერაზე მსჯელობისას გაკვრით აქვს გამოთქმული ვარაუდი ხუნძ. **ნუხ ბატ** („შუა გზა“) შესიტყვებასთან შესაძლო კავშირის შესახებ, რაც თ. პაპუაშვილმა უკომენტაროდ გაიზიარა. ჩვენი თვალსაზრისით, **ნუხპატი** კომპოზიტი ჩანს, რომლის პირველი კომპონენტი **ნუხ**, ტ. გუდავას ანალოგიურად, შეიძლება

¹ თ. პაპუაშვილი, საინგილო, თბილისი, 2013, 98.

„გზას, მხარეს“ დაუკავშირდეს, თუმცა მეორე კომპონენტი უნდა იყოს ხუნძ. **ბატიამბ** („სხვა, უცხო“) ზედსართავის ფუძე, რომელიც კომპოზიტთა წარმოებისას, როგორც წესი, ფუძისეული მორფემის სახით პოსტპოზიციურად არის წარმოდგენილი და ანლაუტში **პ(-ბ) ტ**-ს გავლენით მიღებული: ***ნუხ+ბატ > ნუხპატ** „სხვა მხარე“, „სხვა მიმართულება“ (ზედმიწ. „სხვა გზა“). საანალიზო ტოპონიმის გამო-მხატველი კომპოზიტი მიუთითებდა ორ მდინარეს შუა ხუნძებით დასახლებული ადგილის სხვა გზაზე, სხვა მიმართულებით (უცხო მხარეს) არსებობის შესახებ. ამ კონტექსტში ფრიად საინტერესოა სა-ხელმძღვანელების გაცნობიერებული დამოკიდებულება, რომელშიც ამ-კარად მჟღავნდება მისი არაავტოქტონურობა.

5. თუ ზემოწარმოდგენილი ეტიმოლოგია სწორია, მაშინ ჯერ კიდევ VIII ს-ის დასაწყისში ხუნძების ლტოლვა სამხრეთისაკენ და გადმოსვლა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ისტორიული ჰერეთის მთიანეთში სპორადულ ხასიათს ატარებს. მოგვიანებით ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყვეტილი ჩანს, თუმცა XVI ს-ის შუახა-ნებიდან მათ კვლავ დაიწყეს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ფეხის მოკიდება და ჩამობარება-ჩამომთისწინება. ჭარ-ბელაქანში მათი მი-გრაცია და „უბატონო თემების“ ჩამოყალიბება XVII ს-ისთვის უკვე დასრულებული ჩანს.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

რა ნაცვალსახელის სინტაგმატიკის ერთი შემთხვევისათვის

ენაში სინტაგმატიკას განაპირობებს გარკვეული ფუნქციური დატვირთვა, რაც მას გამოყენებისას ეკისრება. ასეა ზოგი ნაცვალსა-ხელის შემთხვევაშიც, კერძოდ, **რა** ნაცვალსახელის მოხმარების დროს.

ცნობილია, რომ **რა** ნაცვალსახელი ხშირად გამოხატავს **რამ-დენი, რა რაოდენობის** შინაარსსაც: **რა** დაგიჯდა ეს ყველაფერი? სა-საუბრო მეტყველებას ასევე ახასიათებს მისი **რამდენი** ნაცვალსახე-

ლის ფუნქციით გამოყენება გამოთქმაში **რა ხანია: რა ხანია**, ჩემი უფროსი ქალიშვილი არ მინახავს; წავიდეთ, **რა ხანია** გვეძახის; **რა ხანია** არ მინახავს – შევადაროთ: **რამდენი ხანია**, ჩემი უფროსი ქალიშვილი არ მინახავს; წავიდეთ, **რამდენი ხანია** გვეძახის; **რამდენი ხანია** არ მინახავს.

ქართულისთვის ბუნებრივია **რა-ს რომელი** ნაცვალსახელის სინტაგმატიკით გამოყენება: ეს **რა ქალაქია?** ეს **რა ქვეყანაა** = რომელი ქალაქია, რომელი ქვეყანაა? სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ **რა** კითხვითი ნაცვალსახელი გამოიყენება ყველაფრის მიმართ (საგანი, ცხოველი), გარდა ადამიანისა. თუმცა ის ადამიანთან მიმართებითაც დასტურდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა ის **როგორი** ნაცვალსახელის შინაარსითაა: „ვაიმე, ჩემო დისწულო, **რა კაცი** იღუპებო?!“ – სთქვა მწუხარებით” (აკაკი); „... **რა კაცი** ხარ, ქათამიც ვერ დაგიკლავს!“ (მ. ჯავახ.)

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ **რა** ნაცვალსახელი ასევე გამოიყენება **როგორი, რანაირი** შინაარსითაც შემდეგ კონტექსტებში: **რა** შეუბრალებელია ადამიანი (= როგორი); **რა** სანახაობა! **რა** სილამაზე! (= როგორი); **რა** მშრომელი კაცია (= როგორი); „იცი, **რა** აზრი მომივიდა!“ (= როგორი) (ი. გოგებ.); დასახელებული შემთხვევები ბუნებრივია ქართულისთვის – კერძოდ, თუ **რა** ნაცვალსახელი მსაზღვრელის ფუნქციითაა სახელებთან, მაშინ ის ტრადიციულად გვხვდება ატრიბუტული განსაზღვრების ფუნქციით (ზედსართავ სახელთან, მიმღობასთან), თუმცა აღსანიშნავია, რომ ენაში ის დასტურდება წინადადების სხვა წევრებთანაც. მაგალითად:

რა მონდომებითაც უნდა ეცადო, არ გამოგივა; „**რა** გენიოსი **კაცივითაც** არ უნდა მოვინდომოთ, **რა** **ოსტატობითაც** უნდა იყოს შედგენილი“ (სიბრძნე იაკობისა); „დიდი მსახიობი და პოეტი უნდა იყო, რომ შესძლო აღწერა იმისა, თუ **რა** **ოსტატობით** წაიკითხა ავტორმა თავისი ნაწარმოები“ (ქეეკი); „**რა** **სიამოვნებით** გამოვამწყვდევი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში“ (გ. დოჩ.); „შეხედა, მძინარეს გაზეთები **რა** **გულმოდგინებით** ჰქონდა ქვეშ ამოფენილი“ (ს. ტაბ.); „ადიარებელია, თუ **რა** **ოსტატობით** სწვდება ცნობილი კომპოზიტორი მის სიღრმეებსა და ჰარმონიას“ (ქეეკი.).

ამგვარ შემთხვევებში **რა** მსაზღვრელია, ატრიბუტული განსაზღვრების ფუნქციითაა და შესიტყვებას ქმნის ვითარების გარემოებასა თუ უბრალო დამატებასთან. შდრ.: **რა მონდომებითაც** უნდა ეცადო = **როგორი მონდომებითაც** უნდა ეცადო; **რა გულმოდგინებით** ჰქონდა ქვეშ ამოფენილი = **როგორი გულმოდგინებით** ჰქონდა ქვეშ ამოფენილი; **რა სიამოვნებით** გამოვამწყვდევდი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში = **როგორი სიამოვნებით** გამოვამწყვდევდი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში; აღიარებულია, თუ **რა ოსტატობით** სწვდება ცნობილი კომპოზიტორი მის სიღრმეებსა და ჰარმონიას = აღიარებულია, თუ **როგორი ოსტატობით** სწვდება ცნობილი კომპოზიტორი მის სიღრმეებსა და ჰარმონიას...

გიორგი გოგოლაშვილი

ანა კალანდაძის პუნქტუაციური „ინოვაციები“...

პუნქტუაცია ენათმეცნიერული ტერმინია და სასვენიშნა ხმარების წესსა ნიშნავს; ამგვარ წესებს გრამატიკა აყალიბებს: სად, როდის, რა შემთხვევაში რომელი სასვენიშნა ნიშანი უნდა იქნეს გამოყენებული, რომ აზრი არ გაბუნდოვანდეს, ან არ შეიცვალოს.

პუნქტუაციაში არსებობს შედარებით მარტივი და შედარებით რთული წესები. სირთულეს გრამატიკულ ვარიაციათა სიმრავლე განაპირობებს. პუნქტუაციის ნიშნები – ფაქტობრივად, ეს არის პირობითი ნიშნები, დათქმა ამა თუ იმ წესის გამოყენებისას... პუნქტუაციური ნიშანთა სისტემა ამ პირობით ნიშანთა ერთობლიობაა...

ვთქვით, პუნქტუაციის წესები შეიძლება იყოს მარტივი და რთული; შედარებით მარტივია წერტილისა და კითხვის ნიშანთა გამოყენების წესები... ხშირ შემთხვევაში პრობლემას ქმნის მძიმე, წერტილ-მძიმე, ძახილისა და კითხვა-ძახილის ნიშანი ერთად და ა. შ. სირთულეებიც უმთავრესად აქ იჩენს თავს (სწავლებისასაც და გამოყენებისასაც)... ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს ორდინალურ, სტილისტურად ნეიტრალურ ტექსტთან. მხატვრული ტექ-

სტის შემთხვევაში ვითარება შეიძლება შეიცვალოს იმისდამიხედ-
ვით, თუ რა ჟანრის არის ტექსტი... მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ
როგორია მწერლის ინდივიდუალური შეხედულება პუნქტუაციისა-
დმი... ეს შეხედულება კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალი-
თად:

თავის დროზე **კონსტანტინე გამსახურდია** წერდა: „დედანს
საშინელი სისწრაფით ვწერ. შავში სასვენ ნიშნებს უნდა გადავახტე
(მე მგონია: როცა ჩვენი მკითხველები კითხვასა და ნაწერის გაგებაში
უკეთ გაიწაფებიან, **სასვენი ნიშნები უნდა გაგაძეგოთ. ეს დიდ დროს
გვართმევს.** ძველებს ხომ ჩვენებური სასვენი ნიშნები არა ჰქონიათ,
მაინც კარგად წერდნენ. პირადად მე არა მგონია ასეთ რამეს რომ მო-
ვესწრო)“...

სრულიად განსხვავებულია **მუხრან მაჭავარიანის** აზრი: „**პი-
რადად მე ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ,** მეტი რომ არა ვთქვა,
დიდ მნიშვნელობას!“ მეტიც, პოეტის აზრით, „არსებობს თუ არა **ნი-
ჭის საზომი** რაიმე ხელსაწყო?! არსებობს! ეს **არის წერტილი!** დიახ!
წერტილი (აი, ეს – .)!“

მესამე პოზიცია: სასვენი ნიშნები საჭიროა, მაგრამ არა ამგვარი
სისტემა: *ოთარ ჩხეიძე* – „**მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუ-
აცია, აუარებელი და ზედმეტი მძიმეობა, უნდა განიტვიროთ**“. პო-
ზიციები განსხვავებულია და ურთიერთსაპირისპირო...

ანუ აქ მივადექით „მწერლის ენობრივ თავისუფლების“ პრობ-
ლემას, რაც, შეიძლება, არ ჯდებადეს სტანდარტული პუნქტუაციის
წესებში, მაგრამ მხატვრული ტექსტი ამის „უფლებას აძლევს“ ავ-
ტორს... უფრო სწორად, ავტორი ახდენს პიროვნული შეხედულებით
სტანდარტული წესების კორექტირებას; ეს ინდივიდუალური წესე-
ბი არ არის ერთგვაროვანი სხვადასხვა მწერლის შემთხვევაში (და
თუნდ ერთსა და იმავე მწერალთანაც კი სხვადასხვა ვითარებაში...).

თავს იჩენს რამდენიმე კითხვა:

– სასვენ ნიშანს, გარდა გრამატიკულად განსაზღვრული და-
ნიშნულებისა, რა ფუნქცია შეიძლება დაეკისროს?

– პუნქტუაციის შემთხვევაში როგორ გავიგოთ მწერლის
„ენობრივი თავისუფლება“ და რამდენად ეგუება იგი მკაცრ გრამა-
ტიკულ წესებს?

– „ენობრივი თავისუფლების“ ჩარჩოები რა მასშტაბისაა; როგორ განისაზღვროს ამ ჩარჩოების საზღვრები?

ამჯერად შევეცდებით ამ კითხვების აქტუალობა ანა კალანდაძის პოეზიის მაგალითით ვაჩვენოთ.

ანა კალანდაძის ორტომეულის რედაქტორი პოეტი ვახტანგ ჯავახაძე იგონებდა; ანა ლექსებში ხმარობდა მძიმესა და ორ წერტილს, ჰორიზონტალურად განლაგებულს (...), ყველგან სამი წერტილით შევეუცვალე; ანა დაეთანხმა ცვლილებასო (ვ. ჯავახაძე ამას სინანულით წერს)... ამ ჩანაწერმა მოგვცა იდეა, დავკვირვებოდით ანას ხელნაწერ წიგნებში („თუთა“, 2004; „მვირფასი ავტოგრაფები“, 2004; „ორი ანა“ – ანა კალანდაძე, ანა ნიკოლაძე – 2014) შეგვესწავლა ეგ საკითხი (სტამბურად გამოცემულ კრებულებში, როგორც ვხედავთ, რედაქტორები ერევიან), დაიწერა ნაშრომი „მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში“ (იხ.: გ. გოგოლაშვილი, ენა: ბედისწერა (ფიქრები ანა კალანდაძეზე), თბ., 2019).

ანა კალანდაძემ სასვენ ნიშანთა ორიგინალური სისტემა შემოგვთავაზა: იგი ხელნაწერ წიგნებში გამოიყენებს მძიმესა და ორ წერტილს და არა მხოლოდ ამათ... ცხადია, აქ რედაქტორები ვეღარ ჩაერივნენ და გვაქვს ასეთი კომბინაციები:

.. – ორი წერტილი

...– სამი წერტილი (ტრადიციულისაგან განსხვავებული ფუნქციებით)

.... – ოთხი წერტილი

... – მძიმე და ორი წერტილი

.... – მძიმე და სამი – წერტილი

!.. – ძახილის ნიშანი და ორი წერტილი

!... – ძახილის ნიშანი და სამი წერტილი

!.... – ძახილის ნიშანი და ოთხი წერტილი

!../... ძახილის ნიშნისაგან დამორებული ორი ან სამი წერტილი.

ამათ გვერდით ტრადიციული ნიშნებიც გამოიყენება: . (წერტილი); ... (სამი წერტილი ტრადიციული ფუნქციით); , (მძიმე); ! (ძახილის ნიშანი); ? (კითხვის ნიშანი); ?! (კითხვისა და ძახილის ნიშანი)...

ეს „ანასეული სისტემა“, პროფესიონალი ენათმეცნიერის ორიგინალური და უცნაური სისტემა, რომლის დაცვა და განმარტებაც კი არ უცდია პოეტს კრებულის რედაქტორთან... თავის დროზე ის აზრიც გამოვთქვით, რომ პოეტისათვის შთაგონების წყარო ძველი ქართულის სასვენი ნიშანთა სისტემა უნდა ყოფილიყო (დასახ. წიგნი, გვ.56)...

ორიგინალურ ვარიაციებზე (კომბინაციებზე) მსჯელობა სხვა დროისათვის გადავდოთ; ამჯერად სამი წერტილი მაინტერესებს.

ტრადიციული გრამატიკა განსაზღვრავს რამდენიმე წესს სამი წერტილის გამოყენებისას:

1. წინადადების ბოლოს, თუ სათქმელი დაუმთავრებელია ან შეწყვეტილია;
2. როცა ციტატა არასრულადაა მოყვანილი, გამოტოვებულია ავტორისეული ტექსტის ნაწილი...
3. სპეციფიკური დეფექტური მეტყველების (ენადაბმული, ბორძიკით მოსაუბრე პერსონაჟის საუბრის) გადმოცემისას (მაგ., თეიმურაზ ხევისთავი მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“).

ანა კალანდამე სამ წერტილს განსხვავებულ ფუნქციას ანიჭებს:

შევნიშნათ, რომ **სამი წერტილი** (...) ანას პოეზიაში ყველაზე ხშირადაა გამოყენებული. ჩვეულებრივ, გრამატიკის სახელმძღვანელოებში მითითებული წესებისაგან განსხვავებით, გვხვდება იქ, სადაც „მშრალი გრამატიკული წესების“ „უხეშ“ დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ:

მარტივ წინადადებაში სამი წერტილით გათიშულია წინადადების მთავარი წევრები:

„მე **ხომ**... სტვირი ვარ ქარში გაზრდილი“,

„**მეც**... სხვათაშორის ვიკითხე“,

„**ყვავილებიც**... იმდენია ნაზ სათუთად ნატიფები!“,

„**ეს**... ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?“...

„**მე**... შხამი მასვეს!“

„გული კი ჩემი... კვლავ გაზაფხულობს, თითქოს იგივე... ჩემს თავს არ იყვეს!“

თავისებურია „და“ კავშირის შემდეგ სამი წერტილი, განსაკუთრებით წინადადების თავში:

„და... მეც გავვიჟი...“

„და... შემოხეთქა ქარმა კარები“.

„და... რა ქალი?!“

„სიტყვას ვიტყვი და... დაიწყება ქუხილი ცაზე“.

„ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...“

„გნახავ და... გამეხარდები“.

„ხელი ჰკარ მახვილს, საქართველოს გულთან დახრილო, და... ააცდინე!“

სხვა: კავშირებისა თუ ნაწილაკთა შემდეგ:

„მაგრამ... დახედეთ განჩინებას ამა სოფლისას“.

„როგორ, ვითომ... ქართველები მოდიან?“

„იციან მგზავრთა, რომ... მგლისა არი ველი ვრცეული“.

„განა... ერთგვარად შეგიცნო ჩემმა გულმა და სხვისამა?“

კიდევ უფრო საინტერესოა ერთ წინადადებაში რამდენიმე მრავალწერტილი:

„მაგრამ... ნამუსი... ვინ მისცა ძაღლთა?!“

„დუმს, მაგრამ... გულში კი... რას ფიქრობს ნეტა?“

„და უცხო ნათელს სული... პეპლები... გაეკიდება!“

მაგალითების გამრავლება შეიძლება... ამ ფონზე სახელდებითი წინადადების ბოლოს მრავალწერტილი თითქოსდა აღარაა მოულოდნელი... ამ შემთხვევაში მკითხველს აძლევს საშუალებას გაიაზროს საკუთარი ფანტაზიით შემასმენლის დასაშვები ვარიანტი:

„აკაციის ტევრი...“

წნელის სუსტი ღობე...“

ქუდმოხდილი ქვევრი...“

ღვინიანი კობე...“ და ა. შ.

ცხადია, წარმოდგენილ შემთხვევებში სამი წერტილის ფუნქცია არ არის ტრადიციული (გამოტოვებული სიტყვა, შეკვეცილი ციტატა, დაუმთავრებელი წინადადება თუ სიტყვა...); – მეტია. ავტორი რიტმს გვიკარნახებს, მოულოდნელობის ეფექტს ქმნის, სამი წერტილის მომდევნო ფრაზაზე აქცენტს აკეთებს, ყურადღებას ამახვილებს... და ა. შ. ანა კალანდაძის პოეზიის მკვლევარმა ამ ფაქტს ყურადღება უნდა მიაქციოს (და, რა თქმა უნდა, დეკლამატორმაც)...

საინტერესო ისიცაა, რომ ბეჭდურ გამოცემებში ეს ვარიანტები სამი წერტილისა „დაუშვს“, მაშინ როცა ზემოწარმოდგენილი „ანასეული ვარიაციები“ – არა“.

ანა კალანდაძის „პუნქტუაციური ინიციატივები“ კითხვას დაგვასმევინებს: ხომ არ უნდა დაზუსტდეს მეორე წესი?

მეორე წესის მიხედვით („გამოტოვებულია ავტორისეული ტექსტის ნაწილი“) სწორია:

„იყო არაბეთს როსტევან... ლაშქარმრავალი, ყმიანი“.

ამ ვარიანტს ჰგავს ანასეული ვარიანტი:

„სიტყვას ვიტყვი და... დაიწყება ქუხილი ცაზე“.

პირველი შემთხვევისათვის შეიძლება დავაკანონოთ ტექსტოლოგიაში მიღებული პრაქტიკა: ტექსტის გამოტოვებული ნაწილის ნაცვლად ფრჩხილებში ჩასმული სამი წერტილი (...):

„იყო არაბეთს როსტევან (...) ლაშქარმრავალი, ყმიანი“.

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი , თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

ერთი ტიპის -ავ თემისნიშნის გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებისათვის

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, **-ავ** თემისნიშნის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოებისას მოქმედებს შემდეგი წესი: მართებულია როგორც **-ავ** თემისნიშნის, ისე **ია** დაბოლოებისანი ვარიანტები: დამიხატ-**ავ**-ს [// დამიხატ-**ი**-ა]; დამიმალ-**ავ**-ს [// დამიმალ-**ი**-ა] და ა. შ.

ია დაბოლოებიან ფორმათა ერთ ნაწილთან თავს იჩენს -**ავ** თემისნიშნისეული **გ**. დასახელებულ შემთხვევებში გამოიკვეთა ზმნის ფუძეთა სამი ტიპი:

1. უმარცვლო ფუძეები:
რგ: დარგავს – დაურგია // დაურგვია
რთ: ჩართავს – ჩაურთია // ჩაურთვია
2. კუმშვადი ფუძეები, რომლებშიც მეტათეზისიცი დასტურდება:
კარ: შეკრავს – შეუკრია // შეუკვრია
ხან: მოხნავს – მოუხნია // მოუხვნია
3. ერთმარცვლიანი უკუმშველი ფუძეები, რომლებსაც ასევე მეტათეზისი ახასიათებს:
ჩაგრ: დაჩაგრავს – დაუჩაგრია // დაუჩაგვრია
ხიბლ: მოხიბლავს – მოუხიბლია // მოუხიბვლია...

ვინიანი ფორმები (**დაურგვია, შეუკვრია...**) -**ავ** თემისნიშნიანი ზმნებისაგან მომდინარეობს და **ია** დაბოლოებაზე გადასვლის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს (შდრ. **დაუმალვია, დაუხატვია...**). მაგალითად:

დამიმალ-ავ-ს → **დამიმალ-ვ-ია** → დამიმალ-ია (შდრ. ძვ. ქართ. დამიმალ-ვ-იეს)

დამირგავს → **დამირგ-ვ-ია** → დამირგ-ია (შდრ. ძვ. ქართ. დამირგ-ვ-იეს)

შემიკრ-ავ-ს → **შემიკრ-ვ-ია** → შემიკრ-ია (შდრ. ძვ. ქართ. შემიკრ-ვ-იეს)

ამასთან, **შემიკრვია** ტიპის ფორმებისაგან (მეტათეზისის შედეგად) ვიღებთ შემდეგ ვარიანტებს: შემიკრ-ვ-ია → **შემი-კვრ-ია**; გაუკაწრ-ვ-ია → **გაუკა-წვრ-ია** და მისთ.

დაისმის კითხვა: დასახელებულ ზმნათაგან რომელი უნდა მივიჩნიოთ მართებულად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ვინიანი (დაურგ-ია, ჩაურთ-ია, შეუკვრ-ია, მოუხვნ-ია, დაუჩაგვრ-ია, გაუკაწვრ-ია...) თუ უვინო (დაურგ-ია, ჩაურთ-ია, შეუკვრ-ია, მოუხნ-ია, დაუჩაგრ-ია, გაუკაწრ-ია...).

საინტერესო ჩანს დასახელებულ ზმნათა გავრცელების სიხშირე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასალა მოვიძიეთ ქართული ენის ეროვნული

კორპუსიდან, რომლის მიხედვითაც **ია** დაბოლოებიანი უვინო ვარიანტები მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ვინიანი, მაგალითად: შეგვითხზია, ჩაურთია, გაუკრია, ჩაუფლია, დაუნიშნია, გაუკაწრია, მოუნათლია, შეუწამლია, გაუმიჯნია, ჩაუქინდრია, მოუხიბლია და მისთ.

თუ აღნიშნულ ფორმათა ცვლილების დინამიკას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ვინის დაკარგვის ფონოლოგიური პროცესი დღეისათვის დასრულებული არ არის, მაგრამ ენაში ცხადად შეიმჩნევა ვინიანი ვარიანტების გამარტივების (**ფ**-ს დაკარგვის) ტენდენცია. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: **-ავ** თემისნიშნის ფორმებთან, რომელთა ფუძეს მეტათეზისი არ ახასიათებს, I თურმეობითში გვაქვს **ია** დაბოლოების მქონე უვინო ვარიანტები: **დამიმალია** [და არა დამიმალვია], **დამიხატია** [და არა დამიხატვია] და ა. შ.

წარმოდგენილი მსჯელობისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, **შეკრავს** და **დარგავს** ტიპის ზმნების I თურმეობითში ავიანების (შემიკრავს, მომიხნავს, მომიკლავს...) გვერდით პარალელურ ვარიანტებად შეიძლება განვიხილოთ უვინო ფორმები:

დაუნიშნ-ია [და არა: დაუნიშვნ-ია]

მოუნათლ-ია [და არა: მოუნათელ-ია]

დაურგ-ია [და არა: დაურგვ-ია]

ჩაურთ-ია [და არა: ჩაურთვ-ია] და ა. შ.

უვინო ფორმათა ამგვარი კვალიფიკაციისათვის დამატებით არგუმენტად გამოდგება ისიც, რომ **-ამ**-იანი ზმნებიც თემისნიშნისეული **მ**-ს გარეშე აწარმოებენ I თურმეობითის ფორმებს: **დამიბია** (და არა – დამიბმია), **დამიდგია** (და არა – დამიდგმია) და ა. შ.

მაშასადამე, აღნიშნული ტიპის ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებისას მართებულად შესაძლოა მივიჩნიოთ უვინო ფორმები (ცხადია, **ავ** თემისნიშნის ვარიანტებთან ერთად): **დაურგავს** [// **დაურგია**], **დაუკრავს** [// **დაუკრია**]; **დაუნიშნავს** [// **დაუნიშნია**], **მოუნათლავს** [// **მოუნათლია**]...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **მოუკლია**, **დაუკრია**, **მოუხნია** და მსგავს ფორმებს ერთგვარი დიალექტური ელფერი დაჰკრავს.

თამარ ვაშაკიძე

ანა კალანდაძის უსათაურო ლექსების ერთი სტილური მახასიათებელი

ანა კალანდაძის ბევრი პოეტური ქმნილება უსათაუროა; ამგვარი ლექსების სათაურები, ჩვეულებრივ, პირველი სტრიქონებია („შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „ფეხი დამადგით“, „ასე თუ ჩურჩულებს“, „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“, „თქვი, არჯაკელო ხვიარა“, „არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ“, „რომ ავყოლოდი გულისთქმას“, „გაბრწყინებული იდგა ტამარი“, „მაღალთ მარტოდენ“, „თავს დამეღვარა მე სიხარული“, „შუაღამისას მოვიხილე“, „აჰა, დავბრუნდი მწუხარებიდან“, „გარდამოვიდა“, „უწყოდა ბრძენმან“ და მრავალი სხვა).

აღსანიშნავია, რომ უსათაურო ლექსების ერთი დიდი ნაწილი შეკითხვით ბოლოვდება. შესაბამისად, ნაირგვარია კითხვით წინადადებათა შინაარსიც: ზოგ ლექსში პოეტის გაოცება ჩანს, ზოგშიც – ეჭვი თუ ვარაუდი; ნატვრა თუ მკითხველის დადასტურებითი პასუხის მოლოდინი...

ლექსი „ასე თუ ჩურჩულებს“ თავიდან ბოლომდე კითხვითი წინადადებებითაა აგებული. შეკითხვათა ყოველი წყება საოცარი დინამიკურობით მიჰყვება ერთიმეორეს; სათქმელს აძლიერებს გრადაციული გამეორების მხატვრული მახასიათებლებით გაწყობილი ტაეპებიც. დიდი პოეტი სწორედ დასმული შეკითხვებით გააგონებს მკითხველს ელისეს მინდვრის ჩურჩულს; ანახვებს, თუ როგორი კრთომა-ციალი ძალუმს მიმქრალ ვარსკვლავს; უხატავს „მთვარეში“ ასკილის რხევის მომწუსხავ სურათს:

„ასე თუ ჩურჩულებს
ელისეს მინდორი,
ასე თუ შრიალებს?
თუ ასე ნაზია
მიმქრალი ვარსკვლავის
კრთომა და ციალი,
სხივს ასე აბნევს?
ასე თუ ირხევა

მთვარეში ასკილი,
ღვია და ბალბა
და ძალმიცემული
ტყის სული რიალებს?
ასე თუ ჩურჩულებს
ელისეს მინდორი,
ასე თუ შრიალებს?“

ერთ-ერთი უსათაურო ლექსია „დაზამთრებული ზეცა“, რომელიც ღიმილიანი (და იმედნარევი) კითხვითი წინადადებით ბოლოვდება: „ვითომ? ჯიმჯიმას მთაო?!“... ნუთუ „სისულელეა ძებნა“, როცა „დავკარგეთ რაღაც?“ – ეს განწყობა, ბუნებრივია, მკითხველსაც გადაედება და მასაც აღუძრავს „ძებნის“ სურვილს „დაზამთრებული“ სულის გადასარჩენად:

„დაზამთრებული ზეცა,
ტყე, მინდორი და ჭალა...
თხელი ყინულის ქვეშე
დის საცხენისის წყალი...
ვნანობ,
დავკარგეთ რაღაც...
ვიღაც მამშვიდებს, –
კმაო:
სისულელეა ძებნა! –
ვითომ? ჯიმჯიმას მთაო?!“

კითხვითი წინადადება (უსათაურო ლექსების ბოლოს) ანა კალანდაძის პოეზიის ერთ-ერთი სტილური მახასიათებელია. შეკითხვის სახით მოწოდებული სათქმელი მეტი ინტერესით (და უფრო ხანგრძლივად) აფიქრებს მკითხველს. იგი თავადაც ექცევა ანას მიერ დასმულ კითხვათა მაგიური ზეგავლენის ქვეშ და მუდმივად ეძებს შესაფერის პასუხს, რომელიც ხშირად სიცოცხლის გადარჩენის ტოლფასიცაა. როგორც ჩანს, სწორედ ეს პასუხებია ამა თუ იმ უსათაურო ლექსის მთავარი სათქმელი... ყოველ მკითხველს თავისი პასუხი აქვს...

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ანა კალანდაძის არაერთი უსათაურო ლექსი – კითხვითი წინადადებით დაბოლოებული.

ლევან კელაურაძე

დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის – IX¹

წინამდებარე სტატიით განვავრძობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთოქართველური არქეტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

***ზღაჟ-**

ქართ. (ჩვენებ. ქართ.) ე-ზღაჟ-ებ-ა „იხ. ეზღატება“, ე-ზღატ-ებ-ა „ხელს სჭიდებს რაიმეს, ეჭიდება“, (ზ. იმერ.) ჩამო-ზღაჟ-ურ-დ-ებ-ა „ზღაუჭით ჩამობობდებო“ [შდრ. (მოხ.) ზღაჯ-ი, ზღანჯ-ი „ბრჭყალი; დათვის ტორი“, და-ზღაჯ-ნ-ვ-ა „დაჩხაპნვა“, (ხევს.) ზღაჯ-ი „ბრჭყალი“, ზღატ-ებ-ა „ზღოტვა, ზღაუჭით ცოცვა (აღმართზე)“, (თუშ.) ზღაჯ-ურ-ი (ე-ზღაჯ-ურ-ებ) „ზღაუჭი“, ა-ზღატ-ებ-ა-მ (ე-ზღატ-ებ) „მაღალ რაიმეზე გაჭირვებით, ზღოტებით ასვლა“, (ინგილ.) ა-ზღატ-უნ-ევ-ა-მ (ე-ზღატ-უნ-ევ-ი-ს) „აზღოტება, აზობლება, აფოფხება“, (ფერიდ.) ზღატ-ებ-ა „ზობღვა, კლდეებზე ზღოტება“...]

სვან. ხ-ე-ზღანჟ-უნ-წლ, ხ-ე-ზღანჟ-უნ-წლ, ხ-ე-ზღანჟ-უნ-წლ „ეზღაუჭება“.

ქართ. ზღაჟ- ძირს, რომელიც ჩვენებურების ქართულსა და ზემო იმერულშია დადასტურებული, კანონზომიერად შეესატყვისება სვან. ზღანჟ-//ზღანჟ- (< *ზღაჟ- ნ-ს განვითარებით). ამავე მასალას ხომ არ უკავშირდება ზან. (მეგრ.) ღუნჟ-უ-ა „ზღუჯვა; ხელის ჩავლებით

¹ დასაწყისი იხ.: „ეტიმოლოგიური ძიებანი – X“, თბილისი, 2013, გვ. 3-26, „ეტიმოლოგიური ძიებანი – XI“, თბილისი, 2014, გვ. 17-38, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016, 30-39, „ეტიმოლოგიური ძიებანი – XIV“, თბილისი, 2017, გვ. 18-32, „ეტიმოლოგიური ძიებანი – XV“, თბილისი, 2018, გვ. 30-41, „ეტიმოლოგიური ძიებანი – XVI“, თბილისი, 2019, გვ. 42-55, „ეტიმოლოგიური ძიებანი – XVII“, 2020, გვ. 23-33, „ეტიმოლოგიური ძიებანი – XVIII“, 2021. „დამატებანის“ IX ნაწილი „ეტიმოლოგიური ძიებანის“ 2022 წლის ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ, რაკილა ჟურნალის ეს ნომერი არ გამოცემულა, დასაბეჭდად გადაცემულ მასალას, შესწორებული სახით, აქ ვაქვეყნებ.

დაჭერა“, ლუქ-უ-ა „ბლუჯვა, ჭმუქნა“? ასეთ შემთხვევაში, ამოსავლად შეიძლება *ზღანჭ- ძირიც დაგვეშვა და მიგვეჩნია, რომ ზან. (მეგრ.) ლუნჭ- < *ზღუნჭ- < *ზღონჭ- < *ზღანჭ- ბ-ს ზეგავლენით ო-ს უ-ში გადასვლითა და ბ-ს მომდევნო კარგვით, შესაბამისად, ტ. გუდავას მიერ 1960 და 1979 წლებში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით.

***გინგლ-**

ქართ. (ლეჩხ. – ალავეძე) ამო-გლიგ-ნ-ა „ამოგანგვლა – ფქვილ-ში, მტვერში, ნაცარში გახვევა, ამოსვრა ან ტალახში ამოთხუპნა“, ამო-გლიგ-ნ-ილ-ი „ამოგანგლული“, (იმერ.) „ამოსვრილი, ამოქიქნილი“

ზან. (მეგრ.) გინგოლ-უ-ა „დასვრა, ამოგანგვლა“

ფ. ერთელიშვილით, „გლიგნ- < *გინგლ- (შდრ. განგლ- > გლაგნ-), მაგრამ სანამ გინგლ- აღმოჩნდებოდა, გლიგნ- გლაგნ-ისაგან მიღებულად შეიძლება მივიჩნიოთ (ხმოვნის შეცვლით)“ (1970: 239). ვფიქრობთ, ზან. (მეგრ.) გინგოლ- (< *გინგვლ- < *გინგლ-ჟ-) ფუძე ადასტურებს მკვლევრის მიერ ნავარაუდები *გინგლ- ფორმის ოდინდელი არსებობის ფაქტს.

***ზრიალ-**

ქართ. ზრიალ-ი „ზარის ხმის მაგვარი ძლიერი ხმა“.

ზან. (მეგრ.) რზიოლ-ი, რზიოლ-უ-ა „ზრიალი; ჟრჟოლა“; +

ზან. (მეგრ.) ზიორ-უ-ა „გაბზარვა“, ზიორ-ილ-ი „გაბზარული“.

ზან. (მეგრ.) ზიორ- ძირს ქართ. ბზარ-თან (ბზარ-ი, გა-ბზარ-ვ-ა) აკავშირებენ (გუდავა 1979: 84, ფენრიხი 2007: 66, კლიმოვი 1998: 14), მაგრამ ბ. გიგინეიშვილის მართებული შენიშვნით, „საქმეს ართულებს არა მარტო [მეგრული ფორმის] ი ხმოვანი, არამედ ის გარემოებაც, რომ მეგრული ზ-ს შესატყვისად ძველ ქართულში საკმაოდ უჩვეულო რეფლექსი - ძ – გვევლინება. ძ : ზ ფარდობა კი რეფლუარული არაა“ (2016: 51). იგულისხმება, რომ ქართ. ბზარ-ძირისათვის ამოსავალია ბძარ- (და-ე-ბძარ-ნ-ეს, ჰ-ბძარ-ვ-ენ...).

ჩვენი აზრით, ზიორ- მეგრ. რზიოლ-ის განაყარია, რომელიც 2020 წელს ქართულ ზრიალ-ს შეეუპირისპირეთ (ჩვენი – დამატებანი VII: 24): ზიორ- < *რზიოლ- < *ზრიალ- მნიშვნელობათა – „ძლიერი ხმა“ – „გაბზარვა“ დაკავშირებისათვის შდრ.: ქართ. წკრიალ-ი :

ზან. (მეგრ.) წკიორ-ი, წკიორ-ილ-ი „გაბზარული“, (თუშ.) წკერ-ა-მ „უცხად გასკდომის მკვეთრი ხმა“, წკერ-ნ-ებ-ა-მ „უეცარი გასკდომა, გატეხა რაიმესი“, (ხევს.) წკერ-ან-ი „წკარუნი“ – სვან. წკჷრ-ა, წკერ-ა „ბზარვა, სკდომა“... (ჩვენი – დამატებანი VI: 53). როგორც ჩანს, ამოსავალი ძირი ერთდროულად „გაბზარვას, გაპობას“ და ამის თანმხლებ სპეციფიკურ ხმასაც აღნიშნავდა.

-იალ სუფიქსით ნაწარმოები, ქართული და ზანური პირველადი მასდარების დაკავშირებისათვის იხ.: აბაშია 1999, ცალკეულ შეპირისპირებათათვის, ასევე: კლიმოვი 1964: 165, კლიმოვი 1998: 65, 168, ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 224, 407, აბაშია 2004: 6, ფენრიხი 2007: 184, 370, ჩვენი - დამატებანი... VI, 2019: 52-53, დამატებანი VII, 2020: 24, 29, 31, დამატებანი VIII, 2021.

***კამპ-**

ქართ. (ხევს.) და-კამპ-ავ-ს „დაკბენს (ცხენი, ჯორი...)“, (ქიზიყ.) კამპ-ი „საკბენად გაწევა ცხენის მიერ“, (ფერეიდ.) და-კამპ-ვ-ა „დაკბენა, კბენა“, კამპ-ვ-ა (ფშ.) „კბენა ცხენის მიერ“, (ლექხ.) „ყლაპვა. იტყვიან ძაღლსა და ღორზე, ზოგჯერ ადამიანზეც“.

ზან. (მეგრ.) კუმპ-ორ-უ-ა (ქაჯაია) „მაგარი საჭმლის კვნეტით ჭამა“, (ქობალაია) „თხისებრი ჭამა, კაპვა, კვნეტა წინა კბილებით; წაკვნეტა (ნეკერისა)“, კუმპ-ორ-ა „მკაპავი (ცხენი)“.

ქართ. კამპ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზან. (მეგრ.) კუმპ-. -ორ სუფიქსია, რომელიც ზანურ მასდარებში იჩენს თავს, მაგ.: ლაზ. ო-ხუტ-ორ-უ „ღრღნა“, მეგრ. ხუტ-ორ-ი „კვნეტა; ტკვერა, ხვრა, ხრამუნი“, ხუტ-ორ-უ-ა „კვნეტა; ღრღნა, ხვრა, ხრამუნი“ და სხვ. (ლაზურ-მეგრული გრამატიკა 2015: 655-656).

***ჟინჟღლ-**

ქართ. (გურ.) ჟინჟღღლ-ა „ნორჩი პირუტყვის ან მცენარის ხელით წვალება, ჟღვლემა; უშნოდ ზელა, სრესა, წვალება“, შდრ. (ლექხ.) ჟიჟღ-ნ-ა „ჟღვლემა“

ზან. (მეგრ.) ჯღინჯღღლ-უ-ა „ჯღვლემა, სრესა; უხეშად ზელა“.

ზან. (მეგრ.) ჯღინჯღღლ- < *ჟინჟღღლ- < *ჟინჟღღლ-ჟ-. მეგრულში ჟ > ჯ სპორადული გადასვლისათვის, შდრ., მაგ., ზან. (მეგრ.) ჯღანჯღლ-უ-ა, ჯღაჯღლ-უ-ა „ჭეჭყვა, ჭყლეტა, სრესა“ : ქართ. (ქიზიყ.) ჟჟღ-ვ-ა „ძნის უხეიროდ ლეწვა, ბეგვა“, ჟენჟღ-ვ-ა (იმერ.)

„ცემა, გარტყმა“, (ლექს.) „მძიმედ დარტყმა“, (იმერ.) მო-ჟენჟღ-ვ-ა „ნედლი წნელის დაგრეხა, თავის დაჩერქვა, დაძენძვა (ბ. წერეთ.); ნედლი წნელის დაგრეხა, ღვლურჭად ქცევა“ : სვან. (ბზ. – ნიჟარაძე) ლი-ჟღ-ღნ-ე “გაჟეჟა” < *ჟეჟღ-

***ფსკერ-**

ქართ. ფსკერ-ი

[ზან. (მეგრ.)] სვან. სგირი, სკირი „სვანური სახლის ქვედა სართული; მიწის იატაკი, სოხანე“.

დამოწმებული სვანური ფორმები ქართ. ფსკერ-ი სიტყვის ზანურ (მეგრულ) შესატყვის *სკირ-ი-დან უნდა მომდინარეობდეს: სკირ-ი < ფსკერ-ი მეგრულისათვის დამახასიათებელი ე > ი გადასვლით წინაენისმიერთა წინ (მელიქიშვილი 1975) და ბაგისმიერი ბგერის კარგვით გულდავას წესის მიხედვით (1979).

***ქურა-**

ქართ. (ფერეიდნ. – corpora.co) ქურა „სარეველა ბალახი – ქურა ცუდია, ქურა პურს გაამწარებს“.

სვან. ქურა „ნასვენი, მოუხვნელი მიწა; მინდორი, მოლი“, (ბზ. – ბ. ნიჟარაძე) „ხარვეზი; место, оставшееся на пашне без пахания“.

შეპირისპირებული ქართული და სვანური ფორმების მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის, შდრ.: აჭა (გურ.) „ხნულში დატოვებული ადგილი, ხარვეზი, ხტული“, (ხევს.) „ჭიოტა = პურეულის ნათესებში გავრცელებული ერთწლიანი სარეველა მცენარე“; (ლექს.) აჭე „ქვებმიყრილი ადგილი ყანაში; ჩირგვი, ბუჩქი“.

***ქშუ-ილ-**

ქართ. (კახ.) ქშუ-ილ-ი „საქონლის ღრმა ამოსუნთქვა“, (ფშ.) ა-ქშუვ-ლ-ებ-ა „შეკუმშული ჰაერის შებერვით გამოწვეული ხმაური“.

სვან. (ჩლრ.) ქშღლ-ი „აცუებს“.

სვან. (ჩლრ.) ქშღლ- < *ქშულ- < *ქშუ-ილ-.

***შვლეჟ-/შვლიჟ-**

ქართ. (იმერ.) შვლეჟ-ს (შვლიჟ-ა) „იგივეა, რაც შვლეჟს = რამე გრძელსა და წვრილს სწრაფად დაჰკრავს ისე, რომ ხმა გამოცეს“.

ზან. (მეგრ.) სკვაჟ-უ-ა, სქვაჟ-უ-ა „დარტყმა (მაგარი რისმე, მაგ., ჯოხის...)“.

სვან. (ბქ.) სგტიჟ, სგტიჟ-სგტიჟ, სგტიჟ-სგტუჟ (საღლიანი 2016) „თოფის სროლის ან ხმელი საგნის მაგარზე დარტყმის თანმიმდევრული ხმა“, (საღლიანი 2018) „ბათქა-ბუთქი, იარადის სროლის ხმა“.

ზანური (მეგრ.) სქვაჟ- < *შქ(ლ)ეჟ- და სვანური სგტიჟ- < *შქტიჟ- (თუ მეგრულიდან არ არის შეთვისებული!), შესაბამისად, ვ და უ ბგერათა გავლენით შ-ს დისიმილაციური გასისინების შედეგად.

***შხეჟ-/შხიჟ-/შხტეჟ-/შხტიჟ-**

ქართ. (ხევს.) შხეჟ-ს „კოვისპირულად წვიმს“, შხეჟ-ლ-ი/ა „დიდი წვეპლა“, შხაჟ-ნ-ი „შხუილით დარტყმის ხმა“, (ფშ.) შხეჟ-ლ-ა „წვეპლა“, (ქართლ.) და-ე-შხიჟ-ებ-ა „ადგილ-ადგილ დაულურჯდება, აუჭრელდება კანი (ჩვეულებრივ, სიცივით)“, და-შხეჟ-ილ-ი, და-შხეჟ-ილ-ი, და-შხეჟ-ლ-ილ-ი „დალეწილი, ჩაქელილი მცენარე (ქარისაგან, სეტყვისაგან...)“, გა-შხეჟ-ს (გა-შხეჟ-ა) „გატოპავს“, (გარე-კახ.) შხეჟ-ლ-ა „წვეპლა“, შხეჟ-ა „დაღვრილი სითხის... გადაწმენდა, აღება, ამშრალება“, შხიჟშხიჟ-ი „ცხიმეულის დნობისა და წვის დროს გამოცემული ხმა“, (ქიზიყ.) შხიჟ-შხიჟ-ი „ცხიმეულის დნობის დროს გამოცემული ხმა“...

სვან. (ბქ. – საღლიანი 2016, 2018) შხიჟ, შხიჟ-შხიჟ, შხიჟ-შხაჟ „წვეპლის გადაჭერის/დარტყმის ხმა“, (ბქ. – საღლიანი 2016) შხტიჟ-შხტაჟ „წკნელის გატყლაშუნების ხმა“.

ქართ. შხეჟ-/შხიჟ- და შხეჟ-/შხეჟ- ძირებს კანონზომიერად შეესატყვისება, შესაბამისად, სვან. შხიჟ- და შხტიჟ-.

***ცქლეფ-**

ქართ. (ხევს.) ცქლეფ-ს „თქვლეფს, ხვრეჟს (მაღლი, კატა...)“, (ფშ. – გოგატიშვილი) ცქლეფა „მაღლი ან კატა რომ ჭამს ან სვამს რძეს“.

ზან. (მეგრ.) რცქაფ-უ-ა „უგემოვნოდ მცირე-მცირე ჭამა“.

მეგრულში ანალოგიური განვითარებისათვის შდრ.: რთქა-ფუა („თქვლეფა“) < სქ. *თქ(უ)ლეფ-. ცხადია, *ცქლეფ- და *თქ(უ)ლეფ- მონათესავე ხმაბადვითი ფორმებია.

***ჟიკ-ნ-**

ქართ. ჟიკ-ნ-ა (გურ.) „ჟრა, უხეიროდ ჩეხა ზღაგვი დანით“, (იმერ.) „უხეიროდ ჩეხა, ოდნავ კვალის დაჩნევა ამოკენკილივით“, (გურ.) და-ჟიკ-ნ-ა „პატარ-პატარა ნაწილებად დაჭრა“, (იმერ.) ჩა-ჟიკ-ნ-ილ-ი „ჩაჭრილი, ჩადარული“.

ზან. (ლაზ.) ო-ჭიკ-ონ-უ „გაპუტვა; აქნა“
ზან. (ლაზ.) ჭიკ-ონ- < ჭიკვენ- < ჭიკენ-ე-.

***ხირ-**

***ნა-ხირ-**

ქართ. ნახირ-ი

ზან. (მეგრ.) ნო-ხირ-ი „ნაქურდალი, ნაპარავი“, (ლაზ.) ნო-ხირ-ი „ნაპარავი“.

დამოწმებული ქართული სიტყვა, ჰრ. აჭარიანის აზრით, სომხურიდანაა ნასესხები (სახխիქ „id.“ – 1977: 421), თუმცა თავად სომხური სიტყვის „წარმომავლობა უცნობია“ („ბაყღამს ასხაჟთ ლ“ – ჯაჭუკიანი 2010: 560). ვფიქრობთ, ქართ. ნახირ-ი ზანურ *ნო-ხირ-ს უნდა უკავშირდებოდეს. ფონოლოგიური თვალსაზრისით აქ ყველაფერი რიგზეა: ფორმები ერთმანეთის ზუსტი ეკვივალენტებია. რაც შეეხება სემანტიკას, ამოსავალ ზმნურ *ხირ- ძირს „პარვის (და, სავარაუდოდ, ასევე ძარცვის)“, ხოლო მისგან ნაწარმოებ ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა *ნა-ხირ-ს, შესაბამისად - „ნაქურდალის (ასევე ნაძარცვის)“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ სემათა ერთი ფორმით გამოხატვისათვის შდრ., მაგ., ინგლ. loot „გაძარცვა; გაქურდვა - ნაძარცვი; ნაქურდალი“. გადაწევისათვის „ნაძარცვი“ > „ნახირი“, რაც ქართულში ჯერ კიდევ მისი განვითარების უძველეს ეტაპზე უნდა განხორციელებულიყო, შდრ., მაგ., შოტლანდიურ-გელური spreidh „ნახირი; ნადავლი, ნაალაფარი ნახირი“, ირლანდიური spré(idh) „ნახირი; ქონება“, უელსური praidd „ჯოგი, ნახირი; ნადავლი“ < ლათ. praeda „ნადავლი; ნაძარცვი“. ცხადია, ამგვარი გადაწევის შესაძლებლობას იქ უნდა ეარსება, სადაც ნახირი თემთა, ტომთა ან სახელმწიფოთა სანაპირო ოლქებს შორის პარვისა და ძარცვის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა¹.

¹ აღსანიშნავია, რომ მოგვეპოვება მნიშვნელობის საპირისპირო მიმართულებით გადაწევის მაგალითიც: ოს. fos / fons 1. „ნახირი, საქონელი“; 2. „ქონება“, „ნადავლი“, რაც, ვ. აბაევის მიხედვით, „...говорит, во-первых, о том, что скот был синонимом богатства; во-вторых, тот же скот служил основным объектом вождельений в качестве добычи при военных столкновениях“ (1958: 479).

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

ანა კალანდაძე – „ცაო, მოიღე წყალობა ჩემდა...“

სამშობლოს ტრფიალით შთაგონებული პოეტები გულანთებულ სტრიქონებს უძღვნიდნენ ქართულ ზეცას. სტკიოდათ თუ უხაროდათ, უყვარდათ თუ სძულდათ, იბრძოდნენ თუ მოილხენდნენ – „საქართველოს ცის“ (სამშობლოს) წარსული, აწმყო და მომავალი იყო მათთვის უმთავრესი. ქართული ცის „სიღრმესა“ და სიფაქიზეში ხედავს ანა კალანდაძე სამშობლოს უძლეველობას, დაუმარცხებლობასა და სისპეტაკეს, ამიტომაც ქცეულან მისი „დიდების მომღერლებად“ ოშკიც და ზარზმაც, „ბებერი ტაო“:

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმადა ვერცა სპარსმა...
შენი დიდები მომღერალიაოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ,
ისე ფაქიზი ქართულო
ცაო...“

გასაოცარი პოეტური ძალით იხატება მიწისა და ზეცის ურთიერთშეჭიდების სურათი და ამ სანახობით გამოწვეული განცდა ერთ პატარა ლექსში „აბუდელაური“. ეს სანახობა სალოცავის მიმართ ფიცს წარმოათქმევინებს პოეტს: „მიწა და ზეცა შებმია ერთურთს, / მეშინის, მე შენს სალოცავს ვფიცავ“...

მხატვრული შედარების დიდოსტატი ანა კალანდაძე „ცა-მდე ასულ ჭადარში“ ამოიცნობს „ცისა და ქვეყნის“ მდუმარებას: „ო, ეს ჭადარი, ასული ცამდე, / შეუპოვარი ქარის და მეხის... / მდუმარე როგორც ტაო და ქალდე, / როგორც დუმილი ცისა და ქვეყნის...“

შუქურვარსკვლავი რომ ცის სამკაულია, ეს არაერთგზის ყოფილა გამჟღავნებული ზოგადად პოეზიაში, მაგრამ საინტერესო ჩანს ცას მოწყვეტილი შუქურვარსკვლავის შემდგომი ბედი, მას – ცადათ-მობილსა და მიწასთან მიახლოებულს – სამუდამო გაუჩინარება

ემუქრება, პოეტის აზრით. ბუნებრივია, ამ სტრიქონებში ამოიკითხება ღმერთსდამორებული და ამქვეყნიურ სამყაროზე მიჯაჭვული ადამიანის მიწიერი ყოფა:

„ცას მოსწყდა შუქურვარსკვლავი,
სრა დათმო სხივთა მფინართა,
გამოედევნა მიწის სულს,
კლდეებში გაუჩინარდა“.

პოეტი ცას (ანუ, ამ შემთხვევაში – ღმერთს) მოწყალებას შესთხოვს, კერძოდ, „ციურ მადლს“ და შემწეობას ელის მისგან: „შრიანებს ტყე და მბრუებს მზე და / ციური მადლი, – / მექმენი მწედა...“

პოეტს ღრმად სწამს, რომ ღმერთის წყალობას ელიან არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ცოდვილი მხეცნიც, ქვეწარმავლები. ამიტომაც გვიხატავს ანა მლოცველი გველის სახეს სევდიანი თვალებით. როგორც ჩანს, მასაც (ანუ – გველსაც) ძალუმს სულიერი ტკივილის განცდა და სწორედ აქ ტოვებს იგი თავის გველურ ბუნებას და ღმერთის იმედად რჩება: „ლოცულობს გველი... / ალბათ ცოდვილ სულს ავედრებს ღმერთსა, / რომ იდუმალებს, / სევდიან თვალებს / მიაპყრობს ზეცას...“

ასევე იქცევა უმწეო ფუტკარიც. მისთვის ზეცა ყოვლისშემძლეა, ღმერთია, ამიტომაც ემუდარება მას: „ბაგით ყვავილის / მტვერს ამოზიდავს / სუსტი ფუტკარი, / ზეცას მიაპყრობს / თვალებს მუდარით, / მიესალმება მზეს მიმოზიდან...“

აღსანიშნავია ისიც, რომ, „ანა კალანდაძის პოეტურ სამყაროს (ხელმეორედ სულჩადგმულ სიტყვებს, ძველქართულისეულ სალექსო ორნამენტებს, მოხდენილად შერჩეულ დიალექტურ ფორმებს, მომაჯადოებელ მეტაფორა-შედარებებს, ჰიპერბოლებს, ეპითეტებს, პეიზაჟებს...) განსაკუთრებულ ელფერს სძენს კითხვით წინადადებათა სიჭარბე და ნაირსახოვნება. მხატვრულ ჩარჩოში გარდასახული ყოფითი ელემენტები, უფაქიზეს სალექსო სამოსში მოქცეული მიწიერი მისწრაფებანი თუ ადამიანური სურვილები თავად პოეტის სულში იდებს სათავეს და ხშირად სწორედ კითხვითი ინტონაციით აზიარებს მკითხველს მშვენიერებას – ანას თვალით ადაქმევინებს ყოველდღიურობაში ჩაკარგულ სილამაზეს...“ (თ. ვაშაკიძე).

გასათვარი პოეტური სინატიფითა და სინაზით აღბეჭდავს ანა კალანდაძე თეთრ და ლურჯ ფერწერულ ტილოზე თეთრდრუბელნარევ „ცის ხვაშიადს“ და კითხვასაც უსვამს მას:

„შეხედე, ცაა ძალიან ლურჯი,
ძალიან ლურჯი, დაუსაბამო...
ცას შერევია თერთი ღრუბლები
ცამ ხვაშიადი რატომ დამალოს?“

შემდეგ კი... საკუთარ თავსაც დაუსვამს ამ შეკითხვას პოეტი:
„...ცას შერევია თერთი ღრუბლები, / მე... ხვაშიადი რატომ დავმალო?..“

სწორედ ამ ხვაშიადში გამოკრთის ამალღებულნი, ზეაწეული განცდა სიყვარულისა. „საერთოდ პოეზია, გამორჩეულად კი – ანასი, სულთა შეხების მყუდრო ადგილია, სადაც ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან მარტო ორნი და კავშირი, რომელიც ამ ორთა შორის იბმება, უაღრესად პირადულია, სხვათაგან დაფარული და მიუწვდომელი“ (გ. კვარაცხელია).

ანას შემოქმედებისათვის „ყველაზე არსებითი მაინც ზეცაა, – სულის მარადიული თვალშესადგმელი...სასოწარკვეთის ჟამს პოეტი იტყვის: „დახუჭა თვალი ცამან ცხოველმან / და დაიხუჭა „გულისა თვალიც!..“ ხოლო სიხარულის ჟამს: „სადღაცა, ზევით იღება კარი...“

სწორედ ეს „კარის გაღება“ – ცის გახსნა – არის პოეტის უზენაესი ბედნიერება“ (ა. არაბული):

„გუგუნებს გული გრძნეული ხილვით
და სიხარულით თვალდანამული
მივყვები ჩემს გზას... იხსნება ზეცა,
ო, კვლავ იხსნება ცა მეწამული...“

ენა არის ის ობიექტური მოვლენა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ყოველ პიროვნებას, გამოხატოს თავისი სუბიექტური მსოფლხედვა. ყველაზე ხელშესახებად, ნათლად და დახვეწილად ეს მსოფლხედვა პოეტურ სიტყვაში ვლინდება (ბ. ჯორბენაძე). ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს პოეტისა და ცის ურთიერთობით. ცას რამდენიმე დატვირთვა აქვს ანასთან – ერთ შემთხვევაში ის (ცა) საქართველოს (სამშობლოს) განასახიერებს, ამიტომაც „უმღერიან“ მის დიდებას „ომკი და ზარზმა, ბებერი ტაო“, ხოლო სხვა შემთხვევაში ცა ღმერთის სახე-სიმბოლოა: „ცაო, მოიღე წყალობა ჩემდა, ციური მადლი“. არის კიდევ ერთი ცა – ატმოსფეროს ნაწილი – „ძალიან ლურჯი, დაუსაბამო...“ ან ღრუბელნარევი...

რომან ლოლუა

მაშტოცი და მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა

ბოლო დროს ზოგიერთმა სომხურმა თუ არასომხურმა (მაგ., tsargrad.tv/articles/armjanskij-alfavit-odno-iz-chudes-sveta_96432) ინტერნეტგვერდმა გაავრცელა ექსტრავაგანტური შეხედულება მაშტოცის მიერ შექმნილი სომხური ანბანისა და დიმიტრი მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული ცხრილის გამაოგნებელი კავშირის შესახებ. ამ თვალსაზრისის თანახმად, მაშტოცმა მის მიერ გამოგონილ სომხურ ანბანში დამალა უნიკალური კოდი. თუ ჩვენ ავიღებთ იმჟამად ცნობილი მეტალების (ოქრო, ვერცხლი, რკინა, ვერცხლისწყალი, კალა, სპილენძი, ტყვია) ძველსომხურ სახელწოდებებს და დავაჯამებთ მათში თითოეული ასო-ბგერის რიგობით ნომრებს (ანბანთრიგში მათი ადგილების მიხედვით), მივიღებთ ზუსტად იმ შესაბამისი მეტალის ატომურ ნომერს მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდულ ცხრილში. ეს მსჯელობა თვალსაჩინო რომ გახდეს, წარმოვადგენთ მეტალის ძველსომხურ სახელწოდებებს (იმ ფორმით, როგორც ამ შეხედულების ავტორებსა და გამზიარებლებს ესახებათ):

Ալգաթ (ალგათ)	$1 + 12 + 3 + 1 + 9$	$= 26$	რკინა	Fe 26
Մեդ (მედ)	$20 + 5 + 4$	$= 29$	სპილენძი	Cu 29
Արծ (არწ)	$1 + 32 + 14$	$= 47$	ვერცხლი	Ag 47
Կլաէկ (კლავეკ)	$15 + 12 + 1 + 7 + 15$	$= 50$	კალა	Sn 50
Ոսկի (ვოსკი)	$24 + 29 + 15 + 11$	$= 79$	ოქრო	Au 79
Ասգիկ (ანგიკ)	$29 + 22 + 3 + 11 + 15$	$= 80$	ვერცხლი სწყალი	Hg 80
Արճիճ (არჭიჭ)	$1 + 32 + 19 + 11 + 19$	$= 82$	ტყვია	Pb 82

ამ თვალსაზრისის პერველწყარო რთული დასადგენია. რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის დოცენტის ვიქტორ ვაჰანიანის სტატიაში ამ „აღმოჩენის“ ავტორად მიჩნეულია ვინმე ე. აიანიანი, რომელმაც ეს მოსაზრება „დაასაბუთა“ ოთხი მეტალის სახელწოდებით (Иսկი (ვოსკი) „ოქრო“, სკბ (არწ) „ვერცხლი“, სკბჩბ (არჭიჭ) „ტყვია“, ყაყყ (კალაჲ) „კალა“). ჩვენ ვერ დავადგინეთ, თუ ვინ განავრცო აღნიშნული სია და ჩაამატა მასში სხვა მეტალების სახელწოდებანი, თუმცა, როგორც ჩანს, იგი ვ. ვაჰანიანის ნაშრომითაც ხელმძღვანელობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უცნაურ თვალსაზრისის არავითარი საფუძველი არ აქვს, რაც წარმოჩენილი იქნება მოხსენების დროს.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

„ქართველურ ტომთა უძველესი ისტორია სიტყვებში“ (კ. ლერნერის წიგნის შესახებ)

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი კონსტანტინე ლერნერი 1941 წელს თბილისში დაიბადა. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება დაამთავრა და წლების განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში მუშაობდა. კ. ლერნერმა 1973 წელს პროფ. თ შარაძენიძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „სტატისტიკური მეთოდები ისტორიულ ენათმეცნიერებაში“, ხოლო 1989 წელს – სადოქტორო დისერტაცია „ფსიქოსოციოლონგვისტიკის ძირითადი საკითხები“.

1990 წელს კ. ლერნერი, ოჯახთან ერთად, ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. მეცნიერი აღნიშნავს, რომ 1991 წელს, როდესაც 50 წლის ასაკში იერუსალიმის უნივერსიტეტში აღმოჩნდა, არ იცოდა დედაენა და თითქმის მოწყვეტილი იყო საკუთარ იუდაისტურ კულტურას. კ. ლერნერის თქმით, ივრითის შესწავლამ მას „უცნობი

მშობლიური კულტურის ზღვაში აქა-იქ ქართულიდან ნაცნობი ნაპერწკლები“ შეამჩნევინა, რამაც, თავის მხრივ, დაუსახა კვლევის ახალი მიმართულება – ქართულ-სემიტური უძველესი კულტურულ-ენობრივი ურთიერთობანი. სწორედ ამ მიმართულების ნარკვევებია გაერთიანებული კრებულში, რომელიც ახლახან გამოიცა სახელწოდებით „ქართველურ ტომთა უძველესი ისტორია სიტყვებში“.

იერუსალიმის უნივერსიტეტში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის (შესავალი კურსი) სწავლების პარალელურად, კ. ლერნერმა ებრაულად თარგმნა „ნინოს ცხოვრება“, წიგნი მიუძღვნა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „ქრონიკას“, რამაც, ასევე, მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი ეტიმოლოგიური ხასიათის ძიებანი.

ახალგამოცემულ კრებულში, კონკრეტულ ენობრივ შეხვედრათა გამოვლენა-ანალიზის პარალელურად, განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საერთო ქართველურის დაშლის განსხვავებული ქრონოლოგიური სურათი ასურულ ლურსმულ წარწერებზე დაყრდნობით, მესხები ძველი ალთქმის წიგნებში, „არიან-ქართლის“ შესაძლო ადგილმდებარეობისათვის, ქართლის წინაქრისტიანული პანთეონი, როგორც ძველ ახლო აღმოსავლეთთან კულტურული კავშირის ნიშანი და სხვ.

მკითხველთა განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს იმ სიტყვებზე მსჯელობა, რომლებიც სხვა ენათა გზით შემოსულად არის მიჩნეული, ავტორი კი მათ ებრაულ ნასესხობათა კვალიფიკაციას ანიჭებს. სიახლის თვალსაზრისით გამოირჩევა ტოპონიმ მცხეთის ეტიმოლოგიაც, მისი არა „მესხთან“, არამედ „მსხემთან“ დაკავშირება (კრებულში შესულია ნარკვევი, რომელიც საგანგებოდ გერობის // მსხემობის ბიბლიურ ინსტიტუტს ეძღვნება წინაქრისტიანულ ქართლში. სწორედ მსხემობის სოციალური ინსტიტუტის არსებობის კვალს ხედავს კ. ლერნერი ქართლის მეორე დედაქალაქის სახელწოდებაში და მის ამოსავლად შესიტყვება „მსხეთ უზანს“ ვარაუდობს).

ძირითად ტექსტს ახლავს დანართი „შესამოწმებელი ქართულ-ივრითული ლექსიკური შეხვედრები“, რომელიც 44 ლექსიკურ ერთეულს მოიცავს. აღნიშნული დანართით, ერთგვარად, პერსპექტიული კვლევის ამოცანაა დასახული, რომლის შემსრულებელთა შორის ავტორი ახალგაზრდა ქართველ მკვლევრებსაც მოიაზრებს: „ქართული და სემიტური მეცნიერული ტრადიციების შეხამება ნაყოფიერ შედეგებს გვპირდება. ჩემი ოცნებაა, რომ ქართველო-

ლოგიაში კარგად მომზადებული ახალგაზრდები იერუსალიმის უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ, ივრითი შეისწავლონ და ამ მიმართულებით განაგრძონ კვლევები“.

წიგნი, რომელსაც კ. ლერნერი მეგობრებს უძღვნის („ჩემს მეგობრებს თბილისსა და იერუსალიმში“), მისივე სურვილით, საჩუქრად გადაეცემა თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 83-ე სამეცნიერო სესიის თითოეულ მონაწილეს.

თეა ტეტელოშვილი

ბლანკის შედგენასთან დაკავშირებული ტიპური ენობრივი სირთულეებისთვის

ზოგადად საქმის ქაღალდებისთვის (დოკუმენტებისთვის) დამახასიათებელია ლაკონიურობა, მშრალი სტილი, გარკვეული შაბლონური ფრაზების გამოყენება და სხვ.

თუმცა ამგვარ დოკუმენტებს მათი რაგვარობის მიხედვით აქვთ განსხვავებული მახასიათებლებიც და ამის შესაბამისი სპეციფიკური ენობრივი სირთულეებიც. ამჯერად ჩვენ შევეხებით ისეთ ორთოგრაფიულ თუ სტილის საკითხებს, რომლებიც შეიძლება წამოიშვას ბლანკის ტექსტური ნაწილის შედგენისას.

ბლანკი, როგორც მოგეხენებათ, არის ორის სახის: ა) ამა თუ იმ დაწესებულების სახელწოდებიანი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ოფიციალური მიმოწერისათვის; ბ) ნაბეჭდი დოკუმენტი, რომელშიც დატოვებულია თავისუფალი ადგილები ინფორმაციის შემდგომში შესავსებად. ჩვენ ამ უკანასკნელს ვეხებით.

ბლანკის უკანასკნელი ტიპისთვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე აქ იკვეთება ორთოგრაფიასთან, სტილსა თუ პუნქტუაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც დაწვრილებით იქნება განხილული მოხსენებაში.

მედეა ლლონტი, დეკანოზი გიორგი ხანთაძე

დედათ-დიაკონის მსახურებასთან დაკავშირებული ლექსიკონისათვის ძველ ქართულში

I. მოხსენებაში განიხილება ძველი ქართული საეკლესიო შესიტყვება-ტერმინის – **დედათ-დიაკონის** (ძვ. ქართ. „ქალთა დიაკონი; ქალწულთ მონაზონთ უფროსი, განმგებელი“) თავდაპირველი ფუნქციური სემანტიკის განმაპირობებელი წანამძღვრები.

განსახილველი შესიტყვება-ტერმინის შემადგენელი კომპონენტით „**დიაკონი**“ (ბერძნ. diakonos „მსახური“) აღინიშნება ქრისტიანული სამღვდელმსახურო იერარქიის ერთ-ერთი ხარისხი – **ეპისკოპოსისა და მღვდლის** შემდეგ. დიაკონის მოვალეობაა ეპისკოპოსისა და მღვდლების თანამსახურება ღვთისმსახურებისა და წმინდა საიდუმლოთა – ნათილების, ქორწინების, მიცვალებულის წესის აგების აღსრულების ჟამს. სამრევლოში დიაკონი ასევე ადასრულებდა ნათელღებულ ქალთა სამომღვრებო და საგანმანათლებლო სამუშაოს.

სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონ ქართულში“ საგანგებოდ განგვიმარტავს საკუთრივ შესიტყვება-ტერმინს **დედათ-დიაკონი**: „ახალი მონაზონა, გინა ქალწულ მონაზონა“ (ძვ. ქართ.: **მონაზონა** – „ქალი მოწესე, ანუ სამღვდელლოთა რიგითაგანი“, **მონაზონი** – „კაცი მოწესე, ანუ სამღვდელლოთა რიგითაგანი“), და იქვე გვაწვდის ამავე შესიტყვება-ტერმინის „სჯულისკანონში“ აღბეჭდილ სემანტიკას: „**დედათ-დიაკონი** – (სჯულის კანონი) ქალწულ(თ) მონაზონთა უფროსი“.

უაღრესად საგულისხმოა ჩვენი დიდებული ლექსიკოგრაფის მიერ მონიშნული წმინდა ლექსიკოლოგიური მონაცემი – **დედათ-დიაკონის** სინონიმი: „**დედათ-მოურავი**“ ყრმის ამქმელი. ყრმათ ამქმელი. ამქმელი. ნ. *მეანი*“, სადაც კომპონენტი „**დიაკონი**“ ჩანაცვლებულია „**მოურავით**“, რითაც აისახება **დედათ-დიაკონის** კონკრეტული ფუნქციური სემანტიკა – „მისდამი მინდობილი ზემოხსენებული წმინდა საიდუმლოს – ნათილების ღვთივსათნოდ აღსრულება“, შდრ.:

ძვ. ქართ.: „**მოურავი** – მეურვე“ და „**მოურნე** – „მზრუნველი, მეურვე“ (შდრ. ახ.ქართ.: „**მეურვე** – სამართ. ვისიმე მზრუნველად, შემწედ დანიშნული პირი“ – ქეგლი) და „**მოურნე, მეურნე** – (31, 5

ესაია) მომვლელი, გამრიგე; მნე, მიჩენილი მომვლელი; ზედამდეგი; მზრუნველი; მეანი; ბებია; ყმის ამქმელი“ (სულხან-საბა, ი. აბულაძე, დ. ჩუბინაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ზ. სარჯველაძე).

II. საეკლესიო ლიტერატურაში განიმარტება დედათდიაკვნობის დამკვიდრების კონკრეტული მოტივირება:

დედათდიაკვნობის (დიაკონისების) მსახურების აუცილებლობა **ნათელღებული ქალების მირონცხებამ** განაპირობა. თავდაპირველად, ადრეულ ასაკში ნათლობის ტრადიციამდე, მართლმადიდებელ ეკლესიაში მოსანათლი ზრდასრულ ასაკში ინათლებოდა და: „როდესაც ქალი ნათლისღებისას წყალში ჩადიოდა, მასზე ზეთისცხებას დედათდიაკონი ადასრულებდა“... რამეთუ: „აუცილებელი არაა, რომ ქალი ნახოს მამაკაცმა (იგულისხმება ნათლისღების წყლიდან ამოსვლისას)... და როდესაც იგი (ნათელღებული ქალი) ამოვიდოდა წყლიდან, დიაკონისა მიიღებდა (მიირქუამდა) მას და განსწავლიდა, თუ როგორ უნდა ეტარებინა ნათლისღების ბეჭედი დაუზიანებლად – სიწმინდითა და პატიოსნებით“ (იხ.: <https://orthodoxdeaconess.org/wp-content/uploads/2018/06/Suitable-Women-Should-Be-Ordained-as-Deaconess.pdf> და დ. ჩიკვაძე, „საეკლესიო სამართლის საკითხები“, საეკლ. სამათლის კვლევითი ცენტრი, წიგნი I, თბ., 2005. გვ. 13).

დედათდიაკვნობის ინსტიტუტი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, „როდესაც ეკლესიაში ადრეულ ასაკში ნათლობის ტრადიცია დამკვიდრდა და კათაკმეველად დადგინებაც აღარ ხდებოდა, დედათდიაკვნების რაოდენობა თანდათან შემცირდა და შუასაუკუნეებში გაუქმდა კიდეც. XIX საუკუნიდან სხვადასხვა ეკლესიაში შეინიშნება დედათდიაკვნობის ინსტიტუტის აღდგენა“.

ქართულ კანონმდებლობასა თუ ისტორიულ წყაროებში არ შეინიშნება ამ დედათდიაკვნების ტრადიციის არსებობა¹.

¹ იხ.: ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიის დოქტორანტის, **დეკანოზი გიორგი ხანთაძის** სადოქტორო ნაშრომი – „ქრისტიანული ქორწინების სამართალი მართლმადიდებლურ კანონიკაში და საქართველოში არსებული ტრადიცია“, 310 გვ., 2024, გვ. 220-222. ასევე იხ.: <https://ka.wikipedia.org/wiki/დეაკვანი>.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

ის არის კონსტრუქციის სემანტიკის გააზრებისათვის

ნაცვალსახელები **ეს, ეგ, ის** ზოგჯერ პირის ნაცვალსახელება, ზოგჯერ – ჩვენებითი. აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ „ეს, ეგ, ის (იგი) ჩვენებითი არის და პირის ნაცვალსახელიც“ (შანიძე: 1873, 43). პირის ნაცვალსახელიებია იმ შემთხვევაში, როდესაც უკავშირდებიან ზმნას, ხოლო ჩვენებითი ნაცვალსახელება მაშინ, როდესაც მიემართებიან სახელს, მაგალითად: **ბიჭი** არის სტუდენტი. **ის** არის სტუდენტი. ამ წინადადებაში **ის** ნაცვალსახელით პირია გადმოცემული, ხოლო წინადადებაში **ის** ბიჭი არის სტუდენტი, **ის** ნაცვალსახელი ჩვენებითია. ზემოჩამოთვლილი ნაცვალსახელები სინტაქსურად გადმოსცემენ სუბიექტს ან დამატება ობიექტებს წინადადებაში. როდესაც ქვემდებარე გადმოცემულია პირის ნაცვალსახელით, დაესმის კითხვა **ვინ?** და **რა?** ხოლო როდესაც მათი მეშვეობით სინტაქსური განსაზღვრება გადმოიცემა, დაესმის კითხვა **რომელი?**

ჩვენ ვსაუბრობთ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ამგვარი გამოიყვნა არ არის თვალსაჩინო და ფორმები ემთხვევა ერთმანეთს, ერთსა და იმავე კონსტრუქციას აქვს ორგვარი სემანტიკური გააზრება, მაგალითად: **ის სტუდენტია**. ის **ვაშლია**. გვსურს გავმიჯნოთ, რომელ შემთხვევებში არის **ის** ნაცვალსახელი პირი და რომელ შემთხვევაში – ჩვენებითი.

გამომდინარე იმ ვითარებიდან, რომ **სტუდენტია** და **ვაშლია** არის შედგენილი შემასმენელი, ის არ შეიძლება იზოლირებულად იყოს წარმოდგენილი წინადადებაში და მას წინ უნდა ახლდეს მორფოლოგიური სუბიექტი, სინტაქსურად ქვემდებარე, შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში **ის** ყოველთვის აღნიშნავს პირს, თუმცა ასეთ შეთხვევაში გასათვალისწინებელია კონტექსტიც. როდესაც **ის** ნაცვალსახელით შეიძლება ჩავანაცვლოთ სახელი, იგი ასეთ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელია, მაგალითად:

ბიჭი სუდენტია. **ის** სტუდენტია, **ქალი** ექიმა. **ის** ექიმა, **გოგონა** მომღერალია. **ის** მომღერალია, **ძაღვი** ცხოველია. **ის** ცხოველია. ამგვარ წინადადებებში **გადმოცემულია ფაქტი** და ასევე დაესმის ქვემდებარის კითხვები: **ვინ?** და **რა?** ხოლო როგორც კი წინადადებაში გამოვიყენებთ **ეს // ის** მარკირებულ ფორმებს, მაგალითად, **ეს ექიმა. ის ექიმა. ეს მომღერალია. ის მომღერალია. ეს სტუდენტია. ის სტუდენტია. ეს ძაღლია. ის ძაღლია.**, ასეთი ოპოზიციური დაპირისპირება კარგად ავლენს, რომ **ეს** და **ის** ნაცვალსახელები ჩვენებითია და არა პირი. მათი მეშვეობით წინადადებაში განსაზღვრება გადმოიცემა. ამას ადასტურებს კითხვაც, რომელიც მიემართება მათ წინადადებებში: რომელია ექიმი? (ამათგან რომელია ექიმი?) **ის//ეს** ექიმა. რომელია ძაღლი? (ამათგან რომელია ძაღლი?) **ის//ეს** ძაღლია. ეს კი განსაზღვრების კითხვაა და არ შეიძლება მიემართებოდეს პირს. ვფიქრობთ, რომ ამგვარ წინადადებებში პირი არის გაუჩინარებული, მაგრამ იგულსიხმება, ივარაუდება და ჩვენებითი ნაცვალსახელების მეშვეობით მახვილდება ყურადღება პირზე.

პირი

ის არის სტუდენტი.

ვინ არის სტუდენტი?

ჩვენებითი

ის ... არის სტუდენტი.

რომელია სტუდენტი?

ამგვარად, როდესაც წინადადებაში გადმოცემულია **ფაქტი** და სახელის ნაცვლად გამოიყენება **ის** ნაცვალსახელი, იგი პირს გადმოსცემს და მას დაესმის კითხვები **ვინ?** და **რა?**, ხოლო როდესაც საგნებიდან გამოვარჩევთ რომელიმე საგანს პირთან სიახლოვის მიხედვით და დაესმის კითხვა **რომელი?**, ასეთ შემთხვევაში იგი ჩვენებითი ნაცვალსახელია.

ვაჟა შენგელია

კონცხი

ძველ ქართულში **კონცხი** არის „ჭორტი“, „ღუერფი“, ყორე, ქვაყრილი, „ღორღოვანი“ (ი. აბულაძე).

ს.-ს. ორბელიანი განმარტავს: **კონცხი** „ცხვირი კლდეთა, მაღალი და ძნელოვანი“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **კონცხი** არის „ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი (კლდოვანი)“.

ქართულ **კონცხ** სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს მისი ფონეტიკური შესატყვისი მეგრული **კინჩხი** და სვანური **კინჩხ** „კისერი“. ქართული ენის დასავლურ დიალექტებში დადასტურებული **კინჩხი** შეიძლება განვიხილოთ როგორც ზანიზმი.

ეთერ შენგელია

სიცილთან დაკავშირებული ლექსიკისათვის მეგრულში

მეგრულში სიცილის აღმნიშვნელად გამოვლინდა დაახლოებით ორმოცდათხუთმეტი ერთეული, თუმცა ეს რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს. საკვლევად გათვალისწინებულია გამოცემული ლექსიკონებსა და ჩვენ მიერ ცოცხალ მეტყველებაში დადასტურებული ფორმები.

მასალა გაანალიზებულია სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით. ზოგადი მნიშვნელობით გამოიყოფა **ძიცა** || **ნძიცა** || **ძიცუა** „სიცილი, გაცინება“. შდრ. ლაზ. **ოძიცინუ**.

განსახილველი სიტყვები დაჯგუფდა თემატურად და გამოიყო: ხმაბაძვითი, უშნო (სახის ფორმისა და გამომეტყველებიდან გამომდინარე), ინტენსივობის მიხედვით: ძლიერი, ხმამაღალი, ჩუმი, ნელი, გულიანი, მიამიტი სიცილის, ღიმილის გამომხატველი სიტყვები.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ თითო ნიმუშს: **ტკარჩალ**-ი – 1. ტკარცალი, ტკრციალი, კისკისი; 2. ფრინველთა გაფრენისას ფრთების ხმაური, – ტკრციალი, ტკარცალი, კრიახი. **ტკარჩალანს** – ტკარცალებს, ტკრციალებს (ხმაბაძვითი); **კიკიკინი** – კრეჭა, ღრეჭა, უშნოდ (კბილების გამოჩენით) სიცილი. **იკიკინანს** – იკრიჭება, ილრიჭება, უშნოდ იცინის; **ღარღაცი** იგივეა, რაც **კარკაცი**, **ხარხაცი** – ხმამაღალი სიცილი – **კისკისი**; **ქირქინ**-ი – ქირქილი, ჩუმი, ნელი სიცილი. **იქირქინუ(ნ)** „ქირქილებს“, შდრ. ქართ. **ქირქილ**-ი – ჩუმი, ნელი სიცილი, – ხითხითი; **ღიფინ**-ი – 1. გულიანი ღიმილი, 2. წითლად ღული; **ხიხინ**-ი – მიამიტი ღიმილი; **ელაძიცა** – ღიმილი, ოდნავ სიცილი.

სტრუქტურულად საანალიზო ერთეულებში გვაქვს: მარტივი (**თქვარშალ**-ი – ხმამაღალი სიცილი) ფორმები, კომპოზიტები (**ძიცა-ხარხაში** – სიცილ-ხარხარი;) და შესიტყვებები (**ურღიმანს ნორი** – უშნოდ იცინის, ზედმიწ. უშნოდ აქვს პირი დაფრენილი).

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ევროპა და სამოქალაქო ლირიკა ანა კალანდაძის პოეტურ თემატიკაში

1. ქართველი კლასიკოსის ანა კალანდაძის პოეზიის თემატური მრავალფეროვნებიდან ზოგადსაკაცობრიო კულტურული სივრცის პოეტისეულ სურათში ევროპის თემატური ხაზი გამორჩეულად საინტერესოა. ევროპული ციკლის ლექსები (პირობითად, ასე ვუწოდებთ ევროპის თემით დაკავშირებულ ლექსებს, რომლებიც არცთუ მრავალრიცხოვანია, დაახლოებით ოცდაათი ერთეული) პოეტის მსოფლგანცდის, შთაგონებისა და განსახოვნების მრავალგვარ ნიშანს აერთიანებს.

ნაშრომში მსჯელობა წარმოდგენილია ხუთ ნაწილად; თითოეული მონაკვეთი საკვანძო საკითხით დაკავშირებულია ძირითად თემასთან, კერძოდ:

1. „შრიალებს ტალდა ცისფერ ნისლიდან“ –
მშობლიურად განცდილი ევროპა
2. „ვინ წაუკიდა მსოფლოს ცეცხლი?“ –
საზოგადოებრივ-კულტურული ჭრილი
3. „არნოს მინდვრებზე ფოთლების ცვენა“ –
ევროპული ჩანახატების პოეტური რუკა
4. „სული ტრიალებს თავისუფლების“ –
ისტორია და თანამედროვეობა
5. „მზესამართალი“ და ეპიგრაფები.

2. ევროპა, როგორც გეოგრაფიული და კულტურული ტოპოსი, ანა კალანდაძის შემოქმედებითი სივრცის ორგანული ნაწილია. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის ევროპული ციკლის ლექსების რეგიონული ლანდშაფტი საკმაოდ მომცველობითია. კერძოდ, ანას ევროპული ციკლის პოეტურ რუკაზე ცალკეული ლექსებით მონიშნულია ისეთი გეოგრაფიული და კულტურული პუნქტები, როგორიცაა:

საფრანგეთი: ო, იქ ცეკვავდა ნაპოლეონი
ნაპოლეონის ნიღაბი აუსტერლიცის მუზეუმში
ზმანება მონმარტრზე
ძველ სასახლეში
*** ძველი დიდებით ბრწყინავს ვერსალი

გერმანია: გულუბრყვილობავ!
ჰარცის მთებში
*** გერმანელების ამ უცხო ცის ქვეშ...

პოლონეთი: *** ნანგრევთა შორის, ნანგრევთა შორის...
ესმის პოლონეთს!

შვედეთი: ძველი ხომალდი სტოკჰოლმის ნავსადგურში
ინდიელის ნიღაბი მილესის პარკში

ინგლისი: *** ვისგან თქმულა და ვისგან წერილა

*** რომი, გენუა, პიზა, ვერონა...
პეტრეს ტაძარში თეთრი პიეტა
ვინ დაიჯეროს?

იტალია: ო, იმა გრძნეულ ხალხურ სიმღერებს
გარიბალდის ძეგლთან ქალაქ აჩერიალეში
და სალა არი?

ბიზანტია და ძველი რომი ჩვენება აია-სოფიის ტაძარში
(ისტორიული ტოპოსი) იმპერიები თუ ჰყმობდნენ ვინმეს?!

3. ქართული ლიტერატურის საერთაშორისო კულტურულ-სა-ზოგადოებრივი პროცესების ჭრილში განხილვა ხელოვნების შესაძლებლობებისა და ადამიანური აზროვნების თვალსაწიერის ფართო სპექტრს მოიცავს. ამ თვალსაზრისით, ანას შემოქმედება, პოეტის ღრმა ინდივიდუალობით მოცული ინტელექტუალური და სულიერი აქტივობები, თანამედროვეობის უმწვავეს საკითხებს გლობალურისა და მარადიულის პრიზმაში მტკიცე ობიექტურობით წარმოაჩენს; „ვინ წაუკიდა მსოფლიოს ცეცხლი?“ – კითხულობს პოეტი და ეს ანას პოეტური და მოქალაქეობრივი სატკივარია, ანასთან ერთად კი მისი მკითხველის საზოგადო საწუხარც. მრავლისმთქმელია, თვით ლექსების დათარიღებაც, ქრონოლოგიისათვის თვალის მიდევნება ბუნებრივად წარმოაჩენს შემოქმედის ფიქრის მოძრაობას – პოეტის განცდათა ნაკადში ამა თუ იმ თემის ჩართულობით მშობლიურისა და უცხოურის ახლომყოფობას; ასე მაგ., პოლონეთის თემაზე ორი ლექსი აქვს პოეტს: ერთი 1963 წელსაა დაწერილი, მეორე – 1998 წელს; ცხადად იგრძნობა, რომ აქ ოდენ მყისიერი შთაბეჭდილებები კი არა, წლების მანძილზე პოეტის ცხოვრების თანაზიარი სურათებია სტრიქონებად ქცეული. ამ ციკლის ლექსებისთვის არსებითი ისტორიზმის პრინციპი ამგვარი კონკრეტული ერთგვარად ამკვეთრებს, ხაზგასმით მონიშნავს ეპოქის კონტექსტს. პოეტის სტრიქონებში ოდენ კითხვისა და ძახილის ნიშნებს მიღმა მდგომი შეუდარებლად სასტიკი თანამედროვე ეპოქა თითქოს აღარცკი ტოვებს სხვა სათქმელს:

ვინ წაუკიდა მსოფლიოს ცეცხლი?
ვინ წაუკიდა?
ო, ანათემა! (** 1963)

4. საგულისხმოა, რომ ანას პოეტური ხელწერა, მშობლიური სანახებიტა და საფიქრალ-სათქმელიტ გაჯერებული, თავის წილ ტკივილსა და სიხარულს მისთვის ჩვეული კეთილშობილებით ამოზიდავს

და განაზოგადებს შთაგონებით გამშობლიურებული ევროპის ყოფიერებიდან; ანასეული ქართულის პოეტური სამშვენისები, რიტმი, რითმა, მელოდიურობა, ფაქიზი ინტონაციური გრადაციები, ემფაზის ნაირგვარობა, ლირიზმის უჩვეულო წახნაგები ამ ლექსებში დავანებულ ევროპულ ჩანახატებს განუმეორებელი ხიბლით ავსებს – მშობლიურად განცდილი ევროპაა ანასთან, რამდენიმე ფრაგმენტი განწყობისათვის:

ზღვის შერევია სურნელი ეთერს,
შრიალებს ტალღა ცისფერ ნისლიდან...
(„ვინ დაიჯეროს?“, 1989)

ვიბრწყინებთ თქვენებრ, არ ვკვრავთ იმედს
(მართლაცდა, რაა ცის ქვეშ ახალი?!)...
(„იმპერიები თუ ჰყმობდნენ ვინმეს?!“, 1974)

მდუმარედ დგანან კვიპაროსნი,
მდუმარედ დგანან,
ზღვისპირ ბერძნული თეატრონიც
მოწყენით ჩანსო... („და საღა არი?“, 1999)

რომი, გენუა, პიზა, ვერონა...
არნოს მინდვრებზე
ფოთლების ცვენა...
ჯურდმულში ლეთე და აქერონი...
„გრაცია პლენა“,
„გრაცია პლენა“...
კოლიზეუმი ძვლებს ითბობს მზეზე,
ვეზუვს...
გვირგვინი შემოსმარცვია...
ო, ვეროკიო და ვერონეზე...
„გრაცია პლენა“,
„პლენა გრაცია“... (** 1960)

5. ევროპული ციკლის ლექსებში პოეტის სტილი (მთელი ენობრივი მხარე ვერსიფიკაციის ჩათვლით) ისეთივე ძალუმად ტევადია, როგორც მშობლიურ სივრცეში: სადა, მოკრძალებული, უკიდურესად დახვეწილი და ნატიფი, ესთეტიკურისა და ეთიკურის უმჭიდროესი კავშირით გამშვენებული. ამ არცთუ მრავალრიცხოვან ლექსებში ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის უფაქიზესი შენივთე-

ბით, ფიქრის, განსჯის, ყოფიერების არსისა და საზრისის პოეტისეული ხედვა ღრმა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითაა დატვირთული. მოქალაქეობრივი და, საერთოდ, საზოგადოებრივი განცდის ამგვარი სიღრმითა და სიმაღლით წარმოაჩენს ევროპული ციკლის ლექსებს, როგორც სამოქალაქო ლირიკას, თვისებრივად კერძო, კანონზომიერად დამოუკიდებელ ადგილს განუკუთვნებს პოეტის ფილოსოფიური (მედიტაციური და ე. წ. ბიბლიური ლექსები), პატრიოტული, სატრფიალო ლირიკის მრავალრიცხოვანი ნიმუშების გვერდით.

ამასთანავე, სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ ციკლში წამყვანი სოციალური მოტივის გარდა პოეტისათვის საინტერესო სხვა საკითხებიც ხშირად და, ამიტომაც, ევროპული ციკლისა და სამოქალაქო ლირიკის მთლად გაიგივება არ ეგების, მათ შორის ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ; თუმცა კი, ევროპული ციკლის ლექსების უმეტესობა (მათი შედარებით მოკრძალებული საერთო რაოდენობის მიუხედავად) პოეტის სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო ნაწილია. თუ გავითვალისწინებთ კაცობრიობის აზროვნების ისტორიისა და სოციალური წესრიგის (სამოქალაქო საზოგადოების) ევროპულ ეპოპეას, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ორგანულ მდგომარეობას, სავსებით ბუნებრივი ჩანს ქართველი პოეტის ევროპული ციკლის ლექსებისათვის ნიშნადობლივი სოციალური ლაიტმოტივი.

6. ანას ევროპული ციკლის ლექსების საგნობრივი მრავალსახეობა თუმცა იმთავითვე ხელშესახებია, მათგან უპირატესი მაინც მოქალაქეობრივი მრწამსის გამცხადებელი ლექსებია; მათში, როგორც ერთგვარ, თავისებურ არტეფაქტებსა თუ ნივთიერ მტკიცებულებებში ღრმა სოციალური პასუხისმგებლობით დატვირთული მაღალი პოეზია ჟღერს. ლექსის სტრიქონებად გარდათქმული პოეტის განცდები *აუსტერლიცის ლამაზ მინდვრებზე თუ ოსვენციმის ყრუ კედლებს შორის, პარიზის ბაღებსა თუ ჰარცის მთებში, სტოკჰოლმის ნავსადგურში თუ მილესის პარკში, ძველი ტაურის ციხესიმაგრეში თუ სიცილიისაკენ, პეტრეს ტაძარში, გარიბალდის ძეგლთან ქალაქ აჩერიალეში თუ პოლონეთის ეროვნული გმირის – ტადეუშ კოსტიუშკოს ძეგლთან კრაკოვში* და ა. შ. საუკეთესოდ წარმოაჩენს ნატიფი შემოქმედის არა მხოლოდ ინტერესისა და აზროვნების მასშტაბებს, არამედ პოეტის ევროპული თემატიკის ლექსების რაფინირებულ პოეტიკას.

მერაბ ჩუხუა

სალამურის საერთოკავკასიური ლექსიკური პარალელებისათვის

1. **პილილ-ი** „ჩასაბერი მუსიკალური საკრავი“ გავრცელებულია ლაზეთსა და აჭარაში. მასზე სრულდება საცეკვაო და საღალღობო სიმღერები. როგორც ცნობილია, საცეკვაო სიმღერებში პილილს უკრავენ დოლთან ერთად, საღალღობო სიმღერებში მას ხმასაც აყოლებენ.
პილილ-ის წარმოშობის ისტორია უცნობია; ვფიქრობთ, მისი წარმომავლობის კვლევისას რელევანტურია თაბასარანულ ენაში ფიქსირებული **ფილილი** „ჩასაბერი ინსტრუმენტი, სალამური“ სახელის მოხმობა, რაც შესაძლოა ლაზურ-თაბასარანულ იზოგლოსად ჩაითვალოს. მუსიკათმცოდნეები მსჯელობენ იმ საკითხზეც, რომ **პილილ-ის** წინაპარი სალამური იყო, იმისდა მიუხედავად, რომ ამ ინსტრუმენტებს არ გააჩნიათ ერთგვაროვანი ჟღერადობა.
2. ლაზურში **პიპა-ა** „მუნდშტუკი“ სიტყვა, სავარაუდოდ, იმავე **პიპი**-მირს შეიცავს, რომელიც მეორდება სართო წარმომავლობის ლაზურსავე ფორმებში: **პიპიტა** „საშვილოსნო“ **პიპიდი** „კვეთი (ყველისა)“, **პიპიტი** (ვიწ.) „კუჭი (საქონლის)“. ომონიმური **პიპილა** / **პიპილი** „თესლი, მარცვალი, კურკა“ ალომორფები განსხვავებული წარმომავლობის უნდა იყოს. სამაგიეროდ, ლაზურში პოვნიერ **პიპა** „მუნდშტუკი“ სახელს შესატყვისი გამოუჩნდა აფხაზურ ენაში ა-**პეპე** „სტვირი; სალამური“ ფორმის სახით; სემანტიკური კორელაცია *მუნდშტუკი* : *სტვირი* ბუნებრივად გვეჩვენება.
3. ქართული **სო(ლ)ინ-არ-ი** და მეგრული ლარქემი-ი დამზადებულია ლერწმის მრავალღეროვანი (ძირითადად, ექვსღეროვანი) მასალისაგან. ცნობილია, რომ სამეგრელოში ლარქემის (წარმოდგება სიტყვიდან „ლერწამი“) იდენტური საკრავიერი გურიაში **სოინარ-ია**, რომელსაც ლაზეთში („ოსტვინონი“) შეეფარდება. ქართული **სოინარ-ი** ბერძნულ მემკვიდრეობად ითვლება. არადა, მისი ეტიმოლოგია ქართულ-ქართველურ (პალეოკავკასიურ) ნიადაგზე ხერხდება, ვინაიდან საბას ლექსიკონში **სო(ლ)ინარ-ი** სწორედ *მილის* სახეობად განიმარტება: **სოლინარი** / **სოლ-ინ-არ-ი**

„წყალთ მილი ZA; წყლის მილი BCD. მილი E“). უფრო მეტიც, **სოლ-ინ-** ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ჩანს კოლხურ (ლა-ზურ) **შორ-ონ-ი** „ჭიბონის ჩასაბერი ნაწილი; სტვირი“ სიტყვაში. ქართულში კი **-არ** სადერივაციო აფიქსია, რომელიც სხვაგანაც გამონაწევრდება, შდრ.: ნესტ-**არ-ი**, ნეტ-**არ-ი**, ტვიფ-**არ-ი**, ხსნ-**არ-ი**, ზენ-**არ-ი**, კენ-**არ-ი**, ჯაგ-**არ-ი**...

კავკასიური პარალელებიდან გენეტიკურად საერთო ძირები ჩანს ადიღური **სგრ-გნ** „სტვირი; სალამური“ და ხვარშიული **შერუ** „სტვირი; სალამური“, ფორმებში, რომელთაგან ადვილად გაირკვევა ხვარშ. **შერუ**-ს ეტიმოლოგია, ვინაიდან დიდოურ ენებში ხვარშ. **შერუ**, დიდ. **შილუ**, ბეჟ. **შელო**, ჰუნზ. **შელუ რქის** აღმნიშვნელი ლექსემებია; ანალოგიური ვითარებისთვის შდრ. ჰინუხ. **თამი** „სტვირი; სალამური“ და ჰინუხ. **თამა** „რქა“...

სოფიკო ჭაავა

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოგზაურობა აჭარაში მცხოვრებ ლაზებთან (1927-1929 წლების საარქივო მასალების მიხედვით)

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პირად არქივში დაცულია მეცნიერის სამეცნიერო მოგზაურობის დღიურები, რომლებიც მნიშვნელოვან დამატებით პირველწყაროს წარმოადგენს ქართველური ენებისა და დიალექტების შესახებ. როგორც ვიცით, აკად. არნოლდ ჩიქობავა იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც 1926 წელს სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო აჭარაში, სოფელ სარფში მცხოვრებ ლაზებთან, ლაზური ენის მდგომარეობისა და მისი გრამატიკული თავისებურებების შესასწავლად.

1927 წელს მეცნიერმა სარფის გარდა, იმოგზაურა ლაზებით დასახლებულ შემდეგ სოფლებში: გონიოში, თხირნალსა (ვიწილები) და სიმონეთში (ხოფელები), 1928 წელს – სოფ. მახოში, ხოლო 1929 წელს – სოფ. ფშათოღლუში.

დასახელებულ სამეცნიერო მივლინებების ამსახველ დღიურებს შორის ყველაზე სრულია 1926 წლის ჩანაწერები, რომელსაც ახლავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტისთვის წარდგენილი საანგარიშო მოხსენება. მეტ-ნაკლებად ვრცელია 1927 წლის მასალები, 1928 წლის დღიური მხოლოდ 1 გვერდია და ორ ან სამსიტყვიანი წინადადებებით არის ჩანიშნული მოვლენათა ქრონოლოგია (ჩანაწერებში ფიგურირებს ისქანდერ წითაში), ხოლო 1929 წლის მასალები მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემონახული და მხოლოდ რამდენიმე ფურცელს მოიცავს. აღნიშნულ საარქივო მასალებთან ერთად დაცულია ალი თანთ-ოღლის მიერ არნ. ჩიქობავასთვის გამოგზავნილი ლაზურ ენაზე შედგენილი პირადი წერილი. დღიურებში ფანქრით ჩაწერილი ადგილები გაფერმკრთალებულია, ამიტომ ჭირს ცალკეული აზრების წაკითხვა (არნ. ჩიქობავა ერთგან აღნიშნავს, რომ მასალები იხილეთ დიდ რვეულშიო, მაგრამ ასეთი რამ პირად არქივში არ იძებნება. გარდა ამისა, არ არის შემონახული საველე მუშაობისას ჩაწერილი ტექსტების არცერთი ეგზემპლიარი, რომლებსაც მეცნიერი შავ და თეთრ ვარიანტებად იწერდა – ს. ჭ.).

მოგზაურობის დღიურებში სამეცნიერო დაკვირვებების გარდა, ყურადღება გამახვილებულია სოფლებში არსებულ მძიმე სოციალურ ვითარებაზე, საკვები პროდუქტების არარსებობაზე და გადაადგილებასთან დაკავშირებულ სიმწელებზე. სარფისგან განსხვავებით, ზემოთადასახელებულ სოფლებში რაოდენობრივად ლაზები ცოტანი იყვნენ და ლაზურიც ნაკლებად იცოდნენ, მაგრამ არნ. ჩიქობავა მაინც ახერხებდა საჭირო რაოდენობის საკვლევი მასალის მოძიებას და ჩაწერას. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ამონარიდებს, რომლებშიც აღწერილია სოფლებში – თხირნალსა და მახოში არსებული ენობრივი და სასკოლო გარემო:

1. „სოფ. თხირნალში 16 მოსახლე ჭანი იყო (104 კაცი), თითქმის 15%. ამათგან მხოლოდ 5 მოსახლემ იცის ლაზური, დანარჩენმა მხოლოდ თურქული, პლუს ცოტა ქართული, ესეც მხოლოდ ზოგიერთის შემთხვევაში. ჩავედით თხირნალს და სასწავლებელში ეზოში შევედით. გზა ოღრო-ჩოღრო და უხეირო. თხირნალი დამტვრეული კუთხე, მივარდნილი, ლატაკი და უსიამოვნო. რვა-ათ ვერსით შორავს ბათომს და უხიდობის გამო დაკარგულში გრძნობ კაცი აქ თავს. სასწავლებელი ღელეს მახლობლადაა, ჯამეს გვერდით; ორივეს გარეგნობა მთლიანად არკვევს მათ როლსა და ფასს სოფლის თვალში.

სკოლა დაბალი, რაღაც სამზაურეულოს მაგვარი, ძველი და უწყალო. ჯამე მაღალი, ორსართულიანი, თუნდაც უსარკმლო, სათანადო ღია ადგილებით; პარტახის შთაბეჭდილებას სტოვებს ორივე. მაგრამ შკოლის სიბეჩავე და ბედოვლათობა ისე იმდენად უზომოა, რომ ცუდ გუნებაზე დადგები, რაც უნდა ხალისიანად იყო. არის სამი ჯგუფი (არის ერთი მასწავლებელი ქალი და ერთიც თურქულის მასწავლებელი!). ჯერ ჯერობით დადის 17 კაცი, სამს გარდა ბიჭები. ჩივის მასწავლებელი, მარტის შემდეგ მოწაფეს თვალით ვერ ნახავ, სწავლა ფაქტიურად არ არის; საჭმელს ვერ იშოვი კაცი. კვერცხები არ იშოვება და ქათამი, მსხალი და ლობიო... კაცს ვერ ნახავ და გაზეთს ვერ მიიღებ... კოოპერატივი არ არის... **ერთი სიტყვით, ეს არის მოთქმა თავზე ხელწაუშინებლად...**

2. „**სოფელ მახოში სულ 60 მოსახლე არის**, 30 რიზედანაა, ლაზური არ იცის, 30-მა დაახლოებით არ იცის: ყველა ვიწედან არის, ერთია ათინელი. (გვარები იხილე დიდ რვეულში)... სახელები დღეებისა და თვეების ვერც ერთმა ვერ თქვა; თვლით დათვალეს. ნათესაურ ურთიერთობის სახელები ჩავიწერე. უცნაურია ბევრს რაშიმე მეტი მსგავსება მეგრულთან, ვინემ ეს ხოფურ-სარფულს ემჩნევა“.

მოგზაურობის დღიურის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1927-1929 წლებში თურქეთიდან აჭარაში გადმოსახლებულ ლაზებს შორის ლაზური ენის ცოდნის დონე დაბალი იყო თურქულენოვანი გარემოს ზეგავლენით. დროთა განმავლობაში აჭარის სოფლებში ინტეგრირების შემდეგ კი ჭანების მეტყველებაზე აჭარული დიალექტიც მოახდენდა მეტ-ნაკლებ გავლენას, ამიტომ საჭირო იყო დროულად აღნუსხულიყო ლაზური ენის უნიკალური თავისებურებანი. XX საუკუნის 20-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო თურქეთის ტერიტორიაზე გადასვლის, ლაზური ენის დიალექტების ჩაწერისა და დაკვირების შესაძლებლობა. ამიტომ არნ. ჩიქობავა ცდილობდა იქიდან გადმოსულ მცირე ლაზთა შორის მოეპოვებინა ათინურ-ართაშენული, ვიწურ-არქაბული და ხოფური კილოს ნიმუშები. უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, მეცნიერმა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა, ვინაიდან ექსპედიციებზე მოძიებული მასალების საფუძველზე გამოსცა სამი უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური ნაშრომი ლაზური ენის შესახებ.

ნინო ხახიაშვილი

ანა კალანდაძის „ბელურები“

ანა კალანდაძის ლექსებისათვის სახასიათოა სულის უნატიფესი სიფაქიზე და ბიბლიური საიდუმლოს შეცნობის, წვდომის და გადმოცემის სურვილი... აუწვთომელის წვთომისა და დაუნახავის დანახვის მაღლი...

„გამომიბრწყინდი, მიუღწევლო, აწ უცნაური მექმენ საცნაურ...“ – ევედრებოდა ანა უზეშთაეს...

„ჩემი გულისთქმა ხშირად საოცრად მიესადაგება ხოლმე ჩემთვის საინტერესო ადგილებს ამ ბრძნული წიგნებიდან – როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმიდან. ამიტომაცაა „ბიბლია“ „შთაგონების უშრეტი წყარო“ ყოველი ეპოქის ხელოვანისათვის... დიახ, ჩემი გულისთქმა ხშირად საოცრად მიესადაგება ამა თუ იმ ადგილს ბრძნული წიგნებიდან ...“ – წერდა ანა კალანდაძე.

ანას ორი საოცარი ლექსი აქვს ბელურებზე: „ფიტარეთში“ და „მკვდართა მზე ვარ...“

ფიტარეთის უძველეს ტაძარში ბელურები მუდამ ესწრებიან წირვას და საიდუმლო სერობის თანამონაწილენი ხდებიან; თვითონაც, საიდუმლოს მონაწილენი, იღუმალებით არიან მოცულნი:

„ამ ძველ კედლებში ბელურები
ისადგურებენ
და თითქმის მუდამ ესწრებიან
წმინდა სერობას.
და როს მხრჩოლავი საცეცხლური
მოაქვს ქერუბიმს,
თვალეებს ხუჭავენ შიშისაგან
მათდა უნებურ.
როს ვერცხლით სავსე პარკით ხელში
ჯდება იუდა
წმინდა სუფრაზე – მონა ყოველთა
ამქვეყნიურთა,

პროექტი

„წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“

(პროექტი №FR-21-2100 ხორციელდება შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით)

რ ე ვ ა ზ ა ბ ა შ ი ა

ასაკობრივ ურთიერთობათა ამსახველ კოლოკაციებში შემავალი ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში¹

ეთნოგრაფიულ ტექსტებში წარმოდგენილი ემპირიული მასა-
ლა, კერძოდ, თემატურად განსხვავებული კოლოკაციები საშუალე-
ბას იძლევა, გამოვავლინოთ ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორი-
ისათვის საინტერესო სახელური და ზმნური ფუძეები. სოციალურ
ურთიერთობებთან, კონკრეტულად უფროსობა-უმცროსობის ინ-
სტიტუტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების
ამსახველ კოლოკაციებში ყურადღებას იქცევს არაერთი ლექსემა რო-
გორც სემანტიკური, ისე ისტორიულ-ეტიმოლოგიური თვალსაზრი-
სით. **უნჩაში კოჩი**-ის „უფროსი კაცის“, „ოჯახის უფროსის“ ინსტი-
ტუტი სამეგრელოში ისევე, როგორც მახვშის (**მახუში** „ოჯახის უფ-
როსი“) ინსტიტუტი სვანეთში და, საერთოდ, მამასახლისობის ინ-
სტიტუტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გულისხმობს უფ-
როსთან უმცროსების, მამასთან შვილების ურთიერთობაში განსა-
ზღვრული წეს-ჩვეულებების არსებობას. მამათა და შვილთა თაო-
ბებს შორის დამოკიდებულება ასახვას ჰპოვებს ენაშიც, სადაც დას-
ტურდება სწორედ ასეთი დამოკიდებულების ამსახველი არაერთი
ლექსემა. მაგალითად, მეგრულ-ლაზურში უმცროსის აღმნიშველი
სიტყვა **უკლაში**, **უკულაში** ეტიმოლოგიურად „მომდევნო შვილს,

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

კვალზე მიმყოლს“ (ქართ. **კვალ**-/**კვალ**- : მეგრ. ი-**კულ**-/**უ-კულ**- : ლაზ. ო-**კულ**-ე „მომდევნო; შემდეგი; უმცროსი“) ნიშნავს. უკლავში სინონიმად მეგრულ-ლაზურში გვაქვს **ჭიჭე/ჭიჭა** (მეგრ.), **ჭიჭა/ჭუჭა** (ლაზ.). მეგრ. **ჭიჭ**-ე ჰ. ფენრიხმა დაუკავშირა ქართ. **წიწ**-ლ-იკ-ან-ა „პატარა“, „გამხდარი“ ფუძეს (Fähnrich, 1998). ვფიქრობთ, ამ ფუძის **წიწ**-ლ- სეგმენტის უფრო დამაჯერებელი შესატყვისი მეგრულში უნდა გვქონდეს **ჭიჭ**-ლ- ფუძეში (**ჭიჭლა** „ძალიან პატარა“). ამასთანავე, ჩვენი აზრით, როგორც მეგრული **ჭიჭ**-ე/**ჭიჭ**-ა, ისე ლაზური **ჭიჭ**-ა ფუძეების **ჭიჭ**- ძირის შესატყვისობა ქართულში მო-**წიწ**-ებ-ა ლექსემაშია წარმოდგენილი. ეს ლექსემა ძველ ქართულ ტექსტებშიც გვხვდება, რაც დამატებითი არგუმენტია საანალიზო შესატყვისობისათვის:

ქართ. **წიწ**-ვა „შიში“, «შეძრწუნება», «დაბრკოლება»;

მო-**წიწ**-ებ-ა „შიში“, „კანკალი“;

წიწ-ნ-ეულ-ი «მოშიში გულითა»;

უ-**წიწ**-ვ-ელ-ი „მოურიდებელი“ (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი);

მეგრ. **ჭიჭ**-ე, **ჭიჭ**-ა „პატარა“, „უმცროსი“;

ჭიჭ-ე-**ჭიჭ**-ე „ცოტ-ცოტა“;

ჭიჭ-ი, **ჭიჭ**-ი-ა „ნამცეცა“

ჭიჭ-ენ-ობ-ა, **ჭიჭ**-ემ-ობ-ა „პატარაობა“, „ბავშვობა“;

ლაზ. **ჭიჭ**-ა, **ჭუჭ**-ა „პატარა“;

ჭიჭ-იტ-ა „მეტად პატარა“.

ხსენებული ლექსემების მონაწილეობა ეთნოგრაფიულ რეალიათა ამსახველი კოლოკაციების შედგენაში თვალსაჩინოა.

სემანტიკური გადაწევა – მოწიწება „მორიდება; მოკრძალება“ და ჭიჭე, ჭიჭა „პატარა; უმცროსი“ – დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება. ფონემური შესატყვისობისათვის – ქართ. **წიწ**- : მეგრ.-ლაზ. **ჭიჭ**- დაბრკოლება არ არის, ამდენად, საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე შესაძლებელია ***წიწ**- არქეტიპის რეკონსტრუქცია.

დღეს მეტ-ნაკლებად, მაგრამ ადრე უფრო მომეტებულად იყო გამოიჯნული უმცროსის უფლებები უფროსთან მიმართებით, თუმცა ამჟამადაც სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის (ოჯახის, გვარის, საზოგადოების...) წევრთა დამოკიდებულებაში ერთმანეთის მიმართ და, განსაკუთრებით, ასაკითა და სტატუსით უფროსების მიმართ უმცროსების მორალური ვალდებულებები ხელშესახებია. ეს მორალური ვალდებულებები გულისხმობს წეს-ჩვეულებებითა და რიტუალებით გამყარებულ ეთიკეტის სხვადასხვა წესს: უფროსისადმი უსიტყვო მორჩილებას, თავაზიანობას, პატივისცემას, მოწიწებას, მოკრძალებას, თანადგომას, ოჯახისა და სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებებში ჩაურევლობას და ა. შ.

ცხადია, კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება არა უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის ტრადიციულ წესებს, არამედ ამ ინსტიტუტის წევრთა შესაძლებლობებს, მიუხედავად მათი ასაკისა და სტატუსისა.

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ქალის დანიშვნასთან დაკავშირებული ზოგიერთი შესიტყვება ხუნძურ ენაში¹

ხუნძურ ენაში არის სიტყვები:

აბურ-აი „დანიშნული ქალი“, „საცოლე“;

აბურ-აჲ „საქმრო“.

ამ სიტყვებს სუფიქსებად ერთვის ქალისა და მამაკაცის გრამატიკულ კლასთა ფორმანტები -**აი** და -**აჲ**.

III გრამატიკული კლასის (ე.წ. ნივთის კლასის) -**აბ** სუფიქსის დართვით გვექნება ფორმა **აბურ-აბ**, რომლის მნიშვნელობაც არის „ნათქვამი“ (მაგ., **აბურაბ რაჴი** „ნათქვამი სიტყვა“).

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

სამივე ეს ფორმა (**აბურ-ად, აბურ-აჲ, აბურ-აბ**) წარმოადგენს ნამყოს მიმღობას ზმნისა **აბ-ი-ზე** „თქმა“.

მიმღობის ეს ფორმები ხშირად მსაზღვრელებად გამოიყენება სათანადო არსებით სახელებთან: **აბურად მას** „დანიშნული ქალი“ (**მას** „ქალიშვილი“), **აბურაჲ უას** „საქმრო“ (**უას** „ვაჟი“, „ბიჭი“).

ზმნა **აბიზე** („თქმა“) ქმნის მყარ შესიტყვებასაც **მას აბიზე** „ქალის დანიშვნა“, მაგრამ არ მოიპოვება იმგვარი შესიტყვება, რომელშიც **უას** („ვაჟი“, „ბიჭი“) კომპონენტი იქნებოდა ანალოგიურად წარმოდგენილი (არ ითქმის **უას აბიზე**) მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა **აბურაჲ** („საქმრო“) წარმომდგარია იმავე **აბ-ი-ზე** („თქმა“) ზმნისაგან, რომლისაგანაც ნაწარმოებია სიტყვა **აბურად** „დანიშნული ქალი“, „საცოლე“.

ამრიგად, თუკი **აბ-ი-ზე** („თქმა“) ზმნა ფრაზეოლოგიურად შეკავშირებულია არსებით სახელთან **მას** („ქალიშვილი“), იგი იღებს მნიშვნელობას „დანიშვნა“; შესაბამისად, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა კოლოკაციისა **აბურად მას** („დანიშნული ქალი“) ხუნძურ ენაში არის „ნ ა თ ქ ვ ა მ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი“.

საინტერესოა, ამ მხრივ, დიალექტთა და კილოკავ-თქმათა მონაცემები (ფ. საიდოვა, 2008); მაგალითად:

ანდალალური დიალექტის რულჟულ კილოკავში შესიტყვება **რაში ბიცარად მას** „დანიშნული ქალი“, სიტყვასიტყვით „ს ი ტ ვ ა ნ ნ ა თ ქ ვ ა მ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი“;

ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში – **ტუზი ბიცარად** „დანიშნული ქალი“, სიტყვასიტყვით „მ ი ს ა ც ე მ ა დ ნ ა თ ქ ვ ა მ ი“;

ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში – **რაში ტურად მას** „დანიშნული ქალი“, სიტყვასიტყვით „ს ი ტ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი თ „ს ი ტ ვ ა მ ი ც ე მ უ ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი“.

„ს ა ქ მ რ ო ს“ აღმნიშვნელი **აბურაჲ** სიტყვის მნიშვნელობა ხუნძურ ენაში სიტყვასიტყვით არის „მ თ ქ მ ე ლ ი“. სწორედ ამ სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზეა აგებული ერთი ხუნძური კალამბური – **აბურასე გურო მას იკუნეი, მაჩარასეიძი** „მთქმელს [კი] არ რჩება ქალიშვილი, [არამედ მის ცოლად] მომყვანს“. როგორც ვხედავთ, ეს კალამბური შესაძლებელს ხდის **აბურაჲ** (მიც. ბრ. **აბურასე**) სიტყვა გაგებულ იქნეს უბრალოდ „მთქმელის“ და არა „საქმროს“ მნიშვნელობით.

ანწუხური დიალექტის თაშური და ჭადაქოლოური კილოკავების სათანადო მონაცემები გარკვეულ სემანტიკურ სიახლოვეს ავლენენ ქართული ენის მონაცემებთან იმ მხრივ, რომ „დანიშნული ქალის“ სახელწოდება ამ კილოკავებში უკავშირდება „თ ხ ო ვ ნ ი ს“ აღმნიშვნელ ზმნას: თაშ. **ჰარ-ზი**, ჭად. **ჰარ-ჟი** „თხოვნა“ (სალიტ. ხუნძ. **ჰარ-ი-ზე** „თხოვნა“); შდრ. ქართ. **თხოვ-ნ-ა**, ცოლად **ი-თხოვ-ა**, გა-**თხოვ-ებ-ა**, გა-**თხოვ-ილ-ი**. ხუნძური ენის თაშურ კილოკავში დ ა ნ ი შ ნ უ ლ ქ ა ლ ს ეწოდება **ჰარრაი**, სიტყვასიტყვით „ნ ა - თ ხ ო ვ ნ ი“; ჭადაქოლოურში – **ჰარრაი იაშა**, სიტყვასიტყვით „ნ ა - თ ხ ო ვ ნ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი“ (ფ. საიდოვა, 2008). კახეთში მოსახლე ანწუხელთა მეტყველებაში (სოფ. თივი, ყვარლის მუნიციპალიტეტი) გვხვდება შესიტყვება **ჰარინ იას** „დანიშნული ქალი“, რომელშიც **ჰარინ** კომპონენტი უნდა წარმოდგებოდეს **ჰარ-ზი** („თხოვნა“) ზმნის აწმყოს მიმღეობისაგან **ჰარ-ი-ნა**.

ყელებურ ნარევ კილოში აღსანიშნავია სიტყვა **მაღურაი** „დანიშნული“ (ფ. საიდოვა, 2008), რომელიც წარმოადგენს ნამყოს მიმღეობის ფორმას ზმნისა **მაღ-ლე** (სალიტ. ხუნძ. **მაღ-ი-ზე**). ამ ზმნის მნიშვნელობა სალიტერატურო ხუნძურსა და უმეტეს დიალექტებში არის „სწავლება“, „ჭკუის დარიგება“, „დასწავლა“, „მისწავლება (მაგ., გზისა)“. სემანტიკური გადაწევა „თქმა“ ~ „სწავლება“ საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მოგვაგონებს მსგავს მოვლენას ქართველურ ენებშიც: შდრ. ქართ. **ს-წავებ-ა**, **მო-ა-ს-წავებ-ს** : მეგრ., ლაზ. **ვ-უ-წი-ი** „გუთხარი“, **უ-წ-უ** „უთხრა“ (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000).

ქეთევან მარგიანი

სვანური კოლოკაცია – ლიქუნგვეში (სულის საქმე? / სულის მსახურება?) ევდოკია კოჟენიკოვას ტექსტების მიხედვით¹

მოხსენებაში წარმოდგენილია კოლოკაციის (**ლი-ქუნ-გტემ-ი**) ეთნოლინგვისტური ანალიზი; შესწავლილია გამოყენების კონტექსტი და სტრუქტურა. **საანალიზო მასალა** ამოკრებილია სვანური ენის ლექსიკონებიდან; ბ. ნიჟარაძის, ივ. მარგიანის, ვ. ბარადაველიძის, ე. კოჟენიკოვას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან... კვლევაში ასევე წარმოდგენილია ისტორიული დალის ხეობის ეთნოლინგვისტური მასალები, საექსპედიციო ჩანაწერები (1986–2008 წწ.)

ლიქუნგტემი სვანურში, ბალსზემოურში აღნიშნავს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების (გასვენების, ტტაძნობის, პირის გახსნის, ორმოცის, წლისთავის) „ლიფანების“ რიტუალებს. შესაბამისად, გულისხმობს სულის საქმეს / სულის მსახურებას, თუმცა სალიტერატურო ფორმა სრულად და სიღრმისეულად ვერ გადმოსცემს სვანურად ამ კოლოკაციით ნაგულისხმევ შინაარსს, სემანტიკას. ეთნოლინგვისტური ტერმინი **ლიქუნ-გტემი** (სეგმენტაციით **ლი-ქუნე[შ]-გვემ-ი**) სვანურში კომპოზიტისგან (**ქუნე[შ]-გვემ** „სულის საქმე“) **ლი-ი** კონფიქსით ნაწარმოები მასდარია, საწყისია: **ლიქუნგტემი / ლიქუნგვეში < *ლი-ქუნე[შ]-გვემ-ი**. შესაბამისად, სვანურში გვხვდება ამ მასდართა ზმნური ფორმები, რომელთა სალიტერატურო ქართულით გადმოცემა ასევე სირთულესთან არის დაკავშირებული: **ადქუნგტემებ** (ეჟიპრდ ეჯა); **ადქუნგტემენ** (ეჯა).

ადქუნგტემებ „სულის მსახურების რიტუალები აღასრულეს მათ“.

ადქუნგტემენ „სულის მსახურების რიტუალები აღსრულდა“.

ამ ეთნოლინგვისტურ ტერმინთან (**ლიქუნგვეში**) არის დაკავშირებული ასევე კოლოკაციები: **მუქუნგვეში, ლექუნგვეში...**

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-21-2100)

სტრუქტურული ტიპი: (არსებითი+არსებითი) **მუ-ქუნ-გვემ-ი** მოქმედებითი გვარის მიმღეობაა და გულისხმობს **ლიქუნგვემის** რიტუალის, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შემსრულებელს;

ლიქუნგვემი < (**ლე-ქუნ-გვემი-ი**) კი ვნებითი გვარის მიმღეობაა; გულისხმობს მიცვალებულს, ვის სახელზეც **ლიქუნგვემის** რიტუალები უნდა შესრულდეს. ლიქუნგვემის პარალელურად, საინტერესოა, რომ ევდოკია კოჟევნიკოვასთან დეტალურად არის აღწერილი კოლოკაციები: **ლიქუნაჲწლ, ლაფანწ ლიკდაწლ, ჩაჩი მუქცე, ტბადაწრ / ტბადაწრობ, ლიჯგრი-ლიფანე, ლაქუნ...**

ლიქუნაჲწლ „აგონია“, სულისა და სხეულის განყოფის პროცესი“. სემენტაცია ამგვარია: **ლი-ქუნ-აჲწლ. ლიქუნაჲწლ** – ამ კოლოკაციის სიტყვასიტყვითი, ზუსტი ასახვა სალიტერატურო ფორმით რთულია. **ლაფანწ ლიკდაწლ** „საკურთხის ტაბლის და მიცვალებულის „ნახაზის“ აღება წლისთავზე. **ჩაჩი მუქცე** „წვერის მოკვეთის რიტუალის შემსრულებელი“, ოჯახისთვის კი „გარდაცვლილის სიმბოლური სახე, სიმბოლური მონაცვლე“. **ტბადაწრ / ტბადაწრობ** „თანასოფლელების საკურთხი ტაბლა მიცვალებულის გასვენების წინა დღეს“. **ლიჯგრი-ლიფანე** „მიცვალებულთა სახელზე საკურთხი ტაბლების დადგმა და ლოცვით მოხსენიება“. **ლაქუნ** < (ლა-ქუნ) „სულეთი, სულისთვის განკუთვნილი ადგილი“. ამოსავალი არის ქვინ „სული“.

სალექსიკონო მონაცემები სვანურ სულზე: **ქტინ** (ზს. ლნტ.) **ქუნ** (ლმხ.) – 1. სული. 2. სუნი. მუშტუნ მწრა მეუარ ხანწამ ლედგაწრი **ქტინ** „სვან კაცს ძალიან სწამს მიცვალებულის სული“. **ქუნარს ლაფანაჲწი** „სწამაზ ხასდიკზ „სულებს კურთხევის (საკურთხის) დროს ხმაური სწყინთ“. **ქუნარს** ემხუ ლაწდედ ლახორ ლოქ ხარხ „სულებს ერთი დღე თავყრილობა აქვთო“ [თოფურია, ქალდანი, 2000: 789] **ქუნარეუმი** - მიცვალებულთა მოსახსენებელი კვირეული [ლიპარტელიანი: 2014: 259]

ლა-ქუნ სვანურად სიტყვასიტყვით არის სულეთი, სულისთვის განკუთვნილი ადგილი; სწორედ **ლაქუნ-ზე** ეპითეტების **ხოჩა, ხოლა** დამატებით იწარმოება სვანურად სამოთხე და ჯოჯოხეთი ანუ **კარგი სულეთი** და **ცუდი სულეთი**. საინტერესოა ბ. ნიჟარამის ცნობა ამასთან დაკავშირებით: „საიქიო სვანებს თავისებურადა აქვსთ წარმოდგენილი; იგი ვრცელი მინდორია, დაფარული მუდამ მწვანე და ნორჩის ბალახით. ზემოდან ცა აფა-

რია, აქვს ერთი კარი სულეზის შესასვლელი. ცხონებულნიც და წაწყმენდილნიც, ანუ სვანურიდამ რომ პირდაპირ გადმოვთარგმნოთ, კარგი სულისა და ცუდი სულის კაცები (**ხოჩა ი ხოლა ლაქენა მარე**) ამ კარში შედიან. იქ კი ცხონებული კარგს „**ლაქუნთესკენ**“ (სულის ადგილი, ან სასულეთი) უხვევს, წაწყმენდილი კი – გლახა „**ლაქუნთესკენ**“. კარგი სასულეთი, ან ქართულად სამოთხე ამნაირად არის მოწყობილი [ნიჟარაძე, 1962: 178]

კარგი სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტლივ წყვიადი ჰსუფევს (მუბირ უტკვინ). აქ არის სხვათა შორის ფისის ტბა (**ფისეი გვიბ**). ეს არის გლახა სულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (**ხოლა ლაქუნ**). მკითხველი ხედავს, რომ სვანების ჯოჯოხეთი ან სულეთი ისეთი საშინელება არა არის, როგორც ამას აგვიწერს ხოლმე ჩვენი სარწმუნეობა, ე. ი. სვანეთის სასულეთში არა არის „ცეცხლი გენიისა“ და დაუმრეტელი კუპრის ტბა-მდინარეები, ქაჯ-ემშაკთა ლეგიონი, გველ-ვეშაპნი და სხვანი მრავალნი. სვანების კარგი სასულეთიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუვარდება ქრისტეს სასუფეველსა. აღსანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა აქვს და სული-წმიდის ხსენება სულ არა არის. სვანი არასდროს არ გაურევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს. პირველს ეძახის „**სადირბათ**“ (სადმრთო) და მეორეს „**საქუნ**“ (სულის საკურთხი) (ხაზგასმა ჩვენია ქ. მ.) [ნიჟარაძე, 1962: 179] წაწყმედილ სულად ვსთარგმნი სვანურ „**ქვინი ლითევე**“-ს, თუმცა პირდაპირ „**ქვინი ლითევე**“ ჰნიშნავს სულის დაკარგვას. მაშასადამე, წაწყმედილი სული იგივე დაკარგული სულია [ნიჟარაძე, 1962: 180].

ევდოკია **კოყენიკოვა** (სვანურის ბრწყინვალედ მცოდნე) დეტალურად აღწერს **ლაფნან ლიკდლის** რიტუალს: **ლაფნან ლიკდლ** „საკურთხის სუფრის და ლოგინის აღება“. საკურთხის სუფრის და ლოგინის აღების (**ლაფნან ლიკდლ**) დღისთვის მიცვალებულის პატრონი ხარს და ღორებს დააყენებს გასასუქებლად. საკურთხის სუფრის აღების დღეს აკეთებენ ადამიანის „ნახაზს“. როგორც ცოცხალ ადამიანს, იმავე ფორმით ჩააცვამენ ტანსაცმელს. თუკი მამაკაცის საკურთხის სუფრის აღების დღეა, მაშინ მამაკაცის მონახაზს აკეთებენ. ჩოხა-ახალუხს მოაცვამენ, შარვალს ჩააცმევენ. პაჭიჭებსა (ზითხარალს) და ფეხსაცმელებში ჩააყოფინებენ ფეხებს, ქუდს და ყაბალახს დაახურავენ, ქამარს გაუკეთებენ და ხანჯალს შემოაბამენ. თოფს გადაჰკიდებენ. ამგვარად მოკაზ-

მულ „ნახაზს“ მამაკაცისას საკარცხულზე დასვამენ. წინ დაუდგამენ ფიჩქს ანუ სკამტაბლას. ფიჩქზე დადებენ ერთ დიდ პურს, დებენ ასევე როგორც ხარის, ასევე ღორის თითო კერძ ხორცს. ფიჩქზე აუცილებლად დგამენ ერთ ბოთლ არაყს. ბოთლიდან ჭიქებში ასხამენ არაყს. სავსე ჭიქას დგამენ ფიჩქზე. თუკი ქალის, დედაკაცის საკურთხის სუფრის ალების დღეა, მაშინ აკეთებენ ქალის „ნახაზს“ და იმას ქალის ტანისამოსს ჩააცვამენ. ქვედა ბოლოთი და ზედა ტანით შემოსავენ. ლეჩაქს დაახურავენ, ჩულქებს და ფეხსაცმელებს ჩააცვამენ. ძველ დროში ნაჭრის ტანისამოსი არ ჰქონდათ და ამიტომ შალის ტანსაცმელებს შეკერავდნენ ხოლმე და იმას აცვამდნენ, გარედან კი – ტყაპუქს. ადამიანის „ნახაზს“ რომ გააკეთებენ, მერე წინ დაუდგამენ საკურთხის ტაბლას – ფიჩქს. ხორცი, რაც კი რამ მოხარშეს, საკურთხის საგანგებო პურები ანუ ქაბზარ, არაყი და ყველანაირი კერძი უნდა დაიდოს ფიჩქზე. გრძელ ტაბლაზე აწყობენ ცხუნილებს, მოხარშულ კვერცხებს და ხილს. საკურთხის სუფრის მთავარი ატრიბუტი არის კაარზი – მოხარშული და 2–3 მეტრის სიგრძეზე გაწელილი ყველი. კაარზს ზემოდან გადაწელავენ ცხუნილარზე, კუბდარებზე, ჭიმდვარებზე, კვერცხებზე და ხილეულზე.

საკურთხის სუფრის ალებას (**ლაფანწ ლიკდწლს**) ვინც აკეთებს, იმისი ნათესავები, იმისი ოჯახიდან გათხოვილი ქალები, ასულები (ლაისუშა), ამ ასულების შვილები – ბადიშები, მოძმეები, ახალგაგნობილი ნათესავები, გარდაცვლილის ბიძა და მისი შვილები საკურთხის სუფრით და საბატკე ზვარაკით მიდიან მიცვალებულის ოჯახში ამ დღეს. **მიცვალებულის „ნახაზის“** წინ გააკეთებენ ტაბლას, ტაბლაზე ცხუნილებს, კვერცხებს, სხვადასხვა ხილს და კარზს დებენ. საკურთხის ტაბლაზე აუცილებლად დებენ მრგვლად შემწვარ გოქს (ბატკს). **ლაფანწ ლიკდწლის** ტაბლის აუცილებელი ატრიბუტებია: **ლეტვრე, ცხუნილ, თიგრწლ, კწრზ...** თიგრწლ არის სარჭისებიანი მრავალბოლოიანი თხილის ტოტი, რომელსაც ჯუჯა ხის ფორმა აქვს. კვერცხებ და ხილებჩარჭობილ ამ **თიგრწლს** ბატკზე და ცხუნილებზე ჩაასობენ და აუცილებლად ჩადგამენ საკურთხის სუფრაზე. საკურთხის ტაბლის გაკეთებას რომ დაასრულებენ, მერე ჭირისუფლები, ქალები იწყებენ მიცვალებულის დატირებას. დატირებით რომ გულ იჯერებენ, მერე მოჰყავთ მღვდელი. მღვდელი აკურთხებს ტაბლებს და მთელ სუფრას. კურთხევას (ლიჯგრის) რომ მორჩება, მღვდელი აიღებს

ჭიქას ტაბლიდან, ასხამს პურზე და ხორცზე. ამ ტანისამოსს, ამ სამოსელს ჰქვია **საფას** და ტანისამოსი აუცილებლად ყველაფერი უნდა იყოს ახალი.

მღვდელი რომ კურთხევის ცერემონიალს შეასრულებს, მაშინ უკვე ტაბლებს და „ნახაზსაც“ იღებენ. [კოჟევნიკოვა, 1927: იფარი, საქალაქი № 7; № 11].

ტეტადრობ ლიტურგიის ერთ-ერთი რიტუალია. ნაწარმოებია ქართული აბსტრაქტულობის -ობ სუფიქსით ლექსიდან ტეტადრობ. **ტეტ-ა-დრო-ობ** (< **ტეტად რო**) თანასოფლელების მიერ მომზადებული და მოტანილი საკურთხი ტაბლების ლიფანე მიცვალებულის გასვენების წინა დღეს. სიტყვასიტყვით იქნება „ნაცრის პურობის რიტუალი“. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა **ე. კოჟევნიკოვას** ერთი ცნობა: „გასვენების წინა დღეს **ტეტად როს** ვაკეთებთ მთელი სოფელი და მიგვაქვს მიცვალებულის ოჯახში პური. სამოდან ოჯახს 30 პური მიაქვს, დანარჩენ სოფლელებს 20 და მთელი სოფელი მივდივართ იმ ოჯახში“. კოჟევნიკოვა დეტალურად აღწერს, რომ **ტეტადრობზე**, როცა მთვარდება **ლიტვრალის** რიტუალი, მუხლმოდრეკილი ჭირისუფლები მხოლოდ მაშინ დგებიან ჩოქებიდან. **ლიტვრალ** „მრავალგზის ვედრება, შემოვედრება“. სეგმენტაცია: **ლი-ტვრ-ალ**, სადაც **ლი** თავსართი არის მასდარის, საწყისის მაწარმოებელი, **-ტვრ-** არის ძირი; **-ალ / -ელ** სუფიქსი ამ ნაზმნარ სახელში არის მოქმედების მრავალგზისობის მარკერი.

ე. კოჟევნიკოვა სიტყვასიტყვით განმარტავს, რომ ერთ კონკრეტულ რიტუალს ჰქვია **ფეშგგრან** (<* **ფი-ეს-გგრ-ან**) „აქ ერთნი ვიყავით და იქაც ერთად ვიქნებით, იმ ქვეყნად, შენი მომსახურე ვიქნები იმ ქვეყანაში“. **ფეშგგრანის** რიტუალი მოიცავდა მიცვალებულისთვის არა მხოლოდ საკურთხი ტაბლების, ასევე სამოსის, ცხენის, სხვადასხვა ძვირფასი ნივთების თუ საგნების მიძღვნას და კურთხევას.

როსტომ ფარეულიძე

გენდერულ და ასაკობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ჩვეულებათა ამსახველი ზოგი კოლოკაცია ნახურ ენებსა და ქართული ენის მთის კილოებში¹

ქართული ენის მთის დიალექტებსა და ნახურ ენებს შორის კონტაქტები, როგორც ცნობილია, მრავალფეროვანია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოვლენილია მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ ქართული ენის მთის დიალექტებში გამოიყოფა ნახური ენებიდან ნასესხები და, პირიქით, ნახურ ენებში – მთის კილოებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური პარალელები. ამ მასალაში, აშკარა ნასესხობების გარდა, იძებნება ისეთი სიტყვები ან იდიომები, რომელთა წარმომავლობა საერთო ჩანს ქართული და ნახური ჯგუფის ენებისათვის. ამ მხრივ შედარებით მწირ, მაგრამ საინტერესო მასალას იძლევა გენდერულ ან ასაკობრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველი იდენტური მყარი შესიტყვებები, ფრაზები (კოლოკაციები) ჩეჩნურ, ზოგადად, ნახურ ენებსა და მთის დიალექტებს შორის

ხეცსურეთში არსებობს ჩვეულება საცოლქმრე ბავშვების აკვანშივე დანიშვნისა, რასაც **აკვანში ნათხოვნი** ჰქვია. მისი შესატყვისია ჩეჩნური **გან ჩუ ეხნან**, სადაც ზგა არის „აკვანი“, ჩუ „ში“ თანდებული, ე-ეხ-ნა (დიალ. ვარ. ახნა) „ნათხოვი“ (ე- გამოხატავს ქალთა გრამატ. კლასს). ეს არის დამოკიდებული მიმღეობა, რომელიც საზღვრულად გულისხმობს **სთაგ** (დიალ. ვარ. საგ/თაგ) „ადამიანი“ ლექსემას, შდრ.: ეხნა სთაგ „ნათხოვი ადამიანი (ქალი)“, დამოუკიდებელი მიმღეობური ფორმა ამავე ფუძისაგან არის **ეხნა-რგ**.

ქისტებში დანიშნულად ითვლებოდა ქალი, რომელსაც ვაჟი ხელით შეეხო და უთხრა, (ამიერიდან) ჩემი დანიშნული ხარო. ამას

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

ემახდნენ **ქუიგ თვამან ანბან** „ხელის შეხებით, ხელის დაკვრით ნათხოვს (დანიშვნას)“. სრული ანალოგია ხევსურული **ველდადებულო**, ეს არის ის, ვისაც ხელი დაადეს და დანიშნეს. იგივეა ხევსურული **ველდაკრულიც**.

მთის დიალექტებში საქმროს დამწუნებელი ქალიშვილი არის **კვეთილიანი** (მოხ., ხევს.), საქმროს ან ქმრის დამწუნებელს სხვაზე გათხოვების უფლება ჩამორთმეული აქვს. ამ პროცესს ჩეჩნურადაც **დიახქარ** „აკრძალვა/მოკვეთა“ ჰქვია. ჩეჩნებში დანიშნულისაგან ან ცოლისაგან დაწუნება კაცისთვის დიდ სირცხვილად ითვლება და საზოგადოების განხილვის საგანი ხდება: ასეთ შემთხვევაში ქალი გათხოვების უფლების მოპოვებამდე ვერ გათხოვდება, თუ გათხოვდა, დაწუნებული მის მთხოვნელს მტრად გადაეკიდება. იგივეა თურქურში: ასეთ ქალს დაწუნებული **კვეთილაში** ჩააგდებდა.

ქალი, „რომელიც ნათხოვია და წაყვანილი (ან დანიშნული) და ქმარი მოუკვდა, ერთი წლის განმავლობაში **მკვდრის ცოლია**“, წერს ა. ჭინჭარაული (ა. ჭინჭარაული, 2005). ასეთ ქალს ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში **ჰაწნეხქეხ მისსენერგ** „მავანის ან მავანისგან დარჩენილი“, ე. ი. ქვრივი, ჰქვია. მავანში, რა თქმა უნდა, იგულისხმება მიცვალებული და, ჩვეულებრივ, მის სახელსაც ამბობენ: აჰმადახ მისსენერგ „აჰმადის/აჰმადისგან დარჩენილი“. სხვა სიტყვა გამოიყენება განათხოვრისთვის: ჩეჩ. **ჟიერტო, ჯიერტო** (დიალ. ვარ.), წოვათუშ. **ჟერო. ჟიერტო** არ ნიშნავს „ქვრივს“, ასაკის მიუხედავად, მამის ოჯახში დაბრუნებული ქალი განათხოვარია. კაცზე ცოლნაყოლს ამბობენ, „ქვრივს“ დაცინვით თუ იტყვიან, შეურაცხყოფად ითვლება. წოვათუშურში „ჟერო“ კაცზე იშვიათად ითქმისო, აღნიშნავენ დავით და ნიკო ქადაგიძეები (დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984).

ცოლ-ქმარს შორის ოჯახური დავის დროს ზოგჯერ ქალი მამის სახლში ბრუნდება, მიდის. ამას ხევსურულში ემახიან **სამწყრალოს მიდის**. ეს ფრაზა იდენტურია ჩეჩნური სინტაგმისა **იედან / იედენ ააზა** „გაწყრომის, გაბრაზების გამო (ქმრის ოჯახიდან) წასვლა“.

ქალი, რომელსაც ქმარი მოუკვდა ან სხვა მიზეზით მამის სახლში დაბრუნდა, ხევსურულში არის **შინმაბრუნვილი** ან **შინშამაბ-**

რუნვილ დიაცი. იგივე სემანტიკა აქვს ქისტურ შესიტყვებას **ჩუ მიენ ძუდ:** ჩუ „შინ“, ე-იენ „მოსული“, ძუდ „ქალი, ცოლი“, ე. ი. შინ მობრუნებული ქალი. .

თუმურში **სამწუნებრომ** არის ქონება, რომელიც უშვილობის გამო გაშვებულ ქალს უხდიან. ტერმინით **ცა მაშარ დალან** „დაწუნების გადასახადი“ ჩეჩურში არის ის გადასახადი, რომელსაც, შეთანხმების შემთხვევაში, რაც თითქმის არ ხდება, დამწუნებელი ქალი უხდის ქმარს.

ქისტურში ქართული ენის მთის დიალექტებიდან ნასესხები არის **მარჯიკალ** „მაჭანკალი“. ეს ლექსემა უცნობია ჩეჩური ენის სხვა დიალექტებისათვის, ამჟამად თვით ქისტურშიც თითქმის დავიწყებას არის მიცემული. ფშაურში, მოხეურში, მთიულურში იძებნება „მარჯეკალი“, სხვა დიალექტებში – **მარჯაკალი, მარჯაკელი**. ქისტური ფორმა ფშაურის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს.

უწყინარი ადამიანი უნიათოა, უხერხემლო, დამყოლი, ასეთ ადამიანს ქართულში ჰქვია „ცხვარივით კაცი“. ბაცბური მყარი გამოთქმა **ხეა^ნსა^ნ სტაკ** ნიშნავს „საქონელივით კაცს“, ბაცბური **ხეა^ნ** „საქონელი“ ფორმას ქისტურში შეესატყვისება **ხოე, ხაე, ხოეა, ხაეა** (დიალ. ვარ.), რაც „პირუტყვის, საქონლის“ აღმნიშვნელი კრებითი სახელია. აქედან – **ხეენსან საგ** „საქონელივით კაცი“. ჩეჩურ სალიტ. ენაში ეს სიტყვა არ ჩანს, მას ენაცვლება **დჰხნი** ფორმა, რომელიც სინტაგმებში არ ფიგურირებს. მაშასადამე, აღნიშნულ ფრაზაში სიტყვა „ცხვარი“ ნახურ ენებში შენაცვლებულია „საქონლით“.

ერთ-ერთი წეს-ჩვეულებაა სუფრასთან უმცროსის მიერ თავისი თავის გადაცემა უფროსისთვის პატივისცემის ნიშნად. ამ რიტუალს ხევსურულში ჰქვია **თასის გაღება** (თასს გაიღებს). ჩვეულებრივ, პატივისცემის ადრესატი გაგზავნილ ან უშუალოდ მირთმეულ სასმისს ბოლომდე სვამს. ხევსურულ „თასის გაღებას“ ქისტურში შეესატყვისება **ქად ზალან** „თასის, სირჩის მირთმევა“, რომელიც დიდი პატივისცემის ნიშანია ადამიანისადმი, ვისაც იგი მიართვეს, მისი არდალევა ან მიღებაზე უარის თქმა სირცხვილად ითვლება.

სუფრასთან თამადა ზოგჯერ თანამეინახესაც აჯარიმებს და რიგგარეშე სასმელსაც ასმევს, ამას **სამეტოდ დასალევი** ჰქვია ხევსურ-

რულში. ეს მაშინ ხდება, თუ სუფრის წევრი, თამადის აზრით, უტაქ-
ტოდ მოიქცა ან შეუფერებელი რამ თქვა. ამ სახის ჯარიმას ქისტურ-
შიც **სოჲ მოლდაჲ / სოჲ ქად მოლბა** „ზედმეტად, სამეტოდ დალევინება / სამეტოდ თასის დალევინება“ ჰქვია. სუფრასთან დაჯარიმება
წეს-ჩვეულება არ არის, ამას უფრო სუფრის წევრთა გართობის ელ-
ფერი აქვს.

სიტყვა „დედინაცვლის“ შესატყვისი ქისტურში არის **დჷ მუდ**
„მამის ცოლი“ (სალიტ. **დე სთაე** „მამის ცოლი / ქალი“; **ზუდა, სთაე**
გამოხატავს ზოგადად „ქალს, ცოლს, მეუღლეს“), ინგუშურშიც ეს
ტერმინი ასევე აღწერთია: **დჷ სიესაგ** „მამის ცოლი“. „დედინაც-
ვალს“ **მამის ცოლი** ჰქვია ხევსურულშიც.

იდენტური შესატყვისები გვაქვს მთის კილოებსა და ქისტურ-
ში „შინაბერას“ მნიშვნელობითაც. შდრ., მთიულური **შინდამრჩალი**
და ქისტური **ჩუდისსენ** (ჩუ „შინ“, დ-ისსენ „დამრჩალი, ჩარჩენილი“,
ამ ფორმაში დ- არის გრამატიკული კლასის ნიშანი მარკერი, გამოხა-
ტავს ქალთა კლასის სახელებს).

იდენტურ კომპოზიტებს განეკუთვნება:

ხევსურული	ქისტური (ჩეჩნური, ინგუშური)
ქმრისდა	მარაოშ (მარ „ქმარი“, ოშ „და; ჩეჩნ.-ინგ. მწრდიშა) – მული.
ქმრისძმა	მარვოშ (მარ „ქმარი“, ვოშ ძმა“; ჩეჩნ. მწრვაშა, ინგ. მწრვოშა) – მაზლი
ცოლის-ცოლი,	ძუდრჷთიძუდ/ძუდაჩ ძუდ „ცოლის-ცოლი“. ეს კომპოზიტი ხევსურულსა და ქისტურში საგინებელი სიტყვაა, ნიშნავს ცოლის ნება-სურვილს დამორჩილებულ კაცს.
ქმრისძმისწული	მარვეშ კანთ//იაჷ „ქმრის ძმის ვაჟი/გოგო“.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული აფხაზური კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის¹

ადამიანის გარდაცვალებასა და მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული აფხაზური წეს-ჩვეულებანი სათანადო ლექსიკითურთ აღწერილია ნ. ჯანაშიას, ს. ბახია-ოქრუაშვილს, ნ. ანთელავას და სხვ. ნაშრომებში. დაკრძალვის მეგრულ, აფხაზურ და ჩერქეზულ წესებზე მეც წაკითხული მაქვს მოხსენება 2011 წელს აკად. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 135 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე. წინამდებარე კვლევაში სწორედ აღნიშნულ წესებთან დაკავშირებული აფხაზური შესიტყვებები არის გაანალიზებული ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით.

საკვლევი ენობრივი მასალა მოძიებულია ნ. ჯანაშიას, ს. ბახია-ოქრუაშვილისა და ნ. ანთელავას შრომებიდან, ასევე ავტორთა კოლექტივის ორტომეული აფხაზურ-რუსული და სამტომეული რუსულ-აფხაზური ლექსიკონებიდან. მოპოვებული მასალა გადამოწმებული, დაზუსტებულია ჩემ მიერ. ასევე, გარკვეული ნაწილი მასალისა ჩემი ჩაწერილია.

გარდაცვალება აფხაზურში გამოიხატება როგორც **ა-ფსრა** „კვდომა, სიკვდილი“ ზმნით, ისე შესიტყვებით: **იფსგ იხგწიტ** „გარდაიცვალა (ზედმიწ. „სული ამოხდა).“

გარდაცვალებისას ადამიანის შეცხადება აფხაზურში გადმოიციემა **ა-ჰჰარა** „ყვირილი“ ზმნით. შემცხადებელს **ა-ჰჰაჰ** (ზედმიწ. „მყვირალი“, სადაც **-ჰ(გ)** – პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი სუფიქსია) ჰქვია, რაც გამოხატავს მწუხარების მაცნესაც და მოტირალსაც.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

ადამიანის გარდაცვალებას ახლავს დატირების პროცესი – აფხაზურად **ა-წუარა**, რაც, ამავდროულად, **ტირილსაც** აღნიშნავს და, მეგრულისა და ლაზურის მსგავსად, **დაკრძალვის, გასვენების** დღესაც (შდრ. მეგრ. **ნგარა**, ლაზ. **მგარა** || **ბგარა** „ტირილი; გასვენება“). ამ ზმნიდანაა ნაწარმოები **ა-წუაჴ** „მოტირალი“.

აფხაზეთში მიცვალებულს ახლობლები და მეზობლები უთევდნენ ღამესაც, რასაც **ა-ჴაფშარა** ეწოდება. იყო დაკრძალვის ღამეს მიცვალებულის ნიშანთან (**ა-ნშან**) ღამისთევის ჩვეულებაც, რაც იმავე ტერმინით აღინიშნებოდა. ღამის მთეველს **ა-ჴაფშაჴ**-ს (მრ. რ. **ა-ჴაფშაჴა**) ეძახიან.

აფხაზებშიც გავრცელებულია მიცვალებულისათვის წესის აგების ტრადიცია – **ა-ხაფშარა**, რაც ზედმიწევნით „თავზე წაკითხვას“ უნდა ნიშნავდეს (შდრ. აფხ. **ა-ხე** „თავი“, **ა-ფშარა** „წაკითხვა“).

დაკრძალვას **ა-ფსგჴარა** (აფხ. **ა-ფსგ** „მიცვალებული, მკვდარი“, **ა-ჴარა** „გათხრა“) ან **ა-ნგშ ათარა** (ზედმიწ. **ა-ნგშ** „მიწა“, **ა-თარა** „მიცემა“) ეწოდება, მესაფლავს **ა-ფსგჴარა** ზმნისაგან ნაწარმოები – **ა-ფსგჴაჴგ**, ხოლო სასაფლაოს – **ა-ფსგჴგერთა** (-**რთა** – ადგილის მაწარმოებელი სუფიქსი).

ქელები აფხაზურად არის **ა-ფსხარა** (აფხ. **ა-ფსგ** „მიცვალებული, მკვდარი“, **ა-ხე** „წილი“, **-რა** – მასდარის მაწარმოებელი), რომელიც აღნიშნავს ორმოცსაც, ორმოცდამეთორმეტე დღესაც და წლისთავსაც (აფხაზები ძირითადად იხდიდნენ ორმოცდამეთორმეტე დღეს და წლისთავს, თუმცა ქრისტიან აფხაზებს აქვთ ორმოცის აღნიშვნის ჩვეულებაც).

მასალის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ კოლოკაციების ნაწილი სახელისა და მასდარისაგანაა შედგენილი: **ა-ნგშ ათარა** (აფხ. **ა-ნგშ** „მიწა“, **ა-თარა** „მიცემა“). ზოგი საანალიზო ერთეული რთული ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა: **ა-ფსგჴაჴგ** (აფხ. **ა-ფსგ** „მიცვალებული, მკვდარი“, **ა-ჴარა** „გათხრა“, **-ჴგ** – პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი სუფიქსი) „მესაფლავე“. ზოგ შემთხვევაში კომპოზიტებში შემავალი კომპონენტები არსებითი სახელებია: **ამშამათა** „ორმოცამდე საწოლზე დაფენილი გარდაცვლილის ტანსაცმელი“ (აფხ. **ამშა** „მაგიდა“, **ა-მათა** „ტანსაცმელი“).